# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 12 დეკემბერი 1996 №132 (357) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქეცბაია VS პარი სენ ჟერმენი

გუშინ ევროთასების მორიგი წრის წილისყრა შედგა

UEFA CUP

**უეფას თასის მეოთხედფინალი**
4 და 18 მარტი

| |
|---|
| ნიუკასლი - მონაკო |
| ტენერიფე - ბრონდბიუ |
| შალკე - ვალენსია |
| ანდერლეხტი - ინტერი |

Cup Winners' Cup

**თასების თასის მეოთხედფინალი**
6 და 20 მარტი

| |
|---|
| ბენფიკა - ფიორენტინა |
| პსჟ - აეკი |
| ბრანი - ლივერპული |
| ბარსელონა - აიკი |

## გოგიჩა ორ დღესაც მოიცდის

ჩვენი ეროვნული გუნდის და თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველის კახა გოგიჩაიშვილის თავს დატრიალებული ბოლოდროინდელი ამბები არაერთხელ და დაწვრილებით გაცნობეთ, მაგრამ გოგიჩას მდგომარეობისადმი ინტერესი მანამდე არ განელდება, სანამ გულშემატკივარი კახას ისევ მინდორზე არ იხილავს. „არამიანცის“ უროლოგიის განყოფილებას ბოლოს რომ მივაკითხეთ, ექიმებმა, ისევ ვიცდით და ვაკვირდებით, გვითხრეს. აღარ შეგვიწუხებია მცირე ხანს. ამ ერთი კვირის განმავლობაში რედაქციაში რამდენჯერმე დარეკეს და გოგიჩაიშვილის ამბავი გვკითხეს. ერთმა ისიც გვითხრა, კახა გამოჯანმრთელებულა და სათამაშოდ თურმე სხვა ქვეყანაში აპირებს წასვლასო. თან შემოგვევედრა, ძალიან გთხოვთ, მითხარით, სად მიდისო. ეს რომ ჯერ შეუძლებელი იყო, კახას ქომაგს იოლად ავუხსენით, მაგრამ გოგიჩაზე ახალიც ხომ უნდა შეგვეტყო რამე და გუშინ კვლავ მივაშურეთ საავადმყოფოს. ისევ უროლოგიის ინსტიტუტი, ისევ მეცხრე სართული. აქ ექიმები უკვე გვიცნობენ და დაგვინახეს თუ არა, გაკვირვებულებმა გვკითხეს, აქ რაღა გინდათ, კახა ხომ ჩვენთან აღარ არის, ერთი სართულით დაბლა ჩაბრძანდით, 807-ე პალატაში ნახავთო. რახან რეანიმაციის განყოფილებიდან ჩვეულებრივ პალატაში გადაუყვანიათ, საქმე კარგად უნდა იყოსო, გავიფიქრეთ. მოვძებნეთ სასურველი პალატა, სადაც კახას ყოველგვარი წვეთოვანისა და სხვა სამედიცინო მოწყობილობებისგან თავდახსნილს ეძინა. რა გინდა, რომ ჰქნა — მისი ძილის ამბავი რომ ვიცოდით, კარგა ხანს მოგვიწევდა ლოდინი, თუმცა მხსნელად კახას მამიდა, ქალბატონი მანანა მოგვევლინა...

— კახას უკეთესობა ეტყობა. ექიმები საბოლოო პასუხს ორ დღეში გვპირდებიან. ამ ორ დღეში ტემპერატურის ცვლილებასაც დააკვირდებიან. ამჟამად საგანგაშო არაფერია, ტემპერატურა 36 და 7 ხაზია. კახას დღეს გააშუქებენ და ვნახოთ, რა იქნება...

**მამუკა კვანტალიანი**

## 20 აპრილს, პორტუგალიაში

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე გუშინ მიფრინავდა პარიზს, სადაც ხვალა და ზეგ ფირა-ს სამუშაო სხდომა გაიმართება.

სხდომაზე ჩვენი მორაგბეების თავკაცს სხვა საკითხებთან ერთად გასარკვევი ექნება 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი შეჯიბრების წინარე ტურნირის — ფირა-ს 1996-97 წლების პირველობის საჩემპიონო ნახევარფინალის გამართვასთან დაკავშირებული წვრილმანები. თუ ვისთან უნდა ეთამაშა თავისს ქვეჯგუფში გამარჯვებულ საქართველოს ამ ეტაპზე, გუშინ თვით ფირა-ს ოფისმაც არ იცოდა, რაკი ტუნისი — პორტუგალიის მატჩის ანგარიში დროით ვერ შეეტყო.

ჩვენ ლისაბონურ გაზეთ „დიარიუ ნოტასიაშის“ ინტერნეთულ ვერსიაში მოვიძიეთ, რომ ეს მატჩი კვირის ნაცვლად შაბათს გამართულა და ჩვენებისათვის არა-სასურველად — პორტუგალიის გამარჯვებით დასრულებულა 11:6. თამაშის ერთადერთი ლელო წარმოშობით ავსტრალიელ როან ჰოფმანს გაუტანია.

ამ მოგებით პორტუგალიამ თავისი ჯგუფი ჩვენსავით ორი გამარჯვებით მოიგო და რაკი ბურთების სხვაობა ჩვენზე ბევრად უკეთესი აქვს, 20 აპრილს შინ გვეთამაშება. მეორე ნახევარფინალში, დაუზუსტებელი მონაცემებით, ერთმანეთს ესპანეთი და პოლონეთი შეეჯიბრებიან. და კიდევ, V — VIII ადგილების ნახევარფინალში რუსეთი უმასპინძლებს ტუნისს.

პრეზიდენტი გეგიძე სამშობლოში იქეთა კვირაში დაბრუნდება. თუ გამოიდარებს, იმ დროისთვისაა დანიშნული ქვეყნის პირველობის ფინალის არაფრის მაქნისი, ბოლო წრეც. მერე კი, დაახლოებით 25 დეკემბერს, რაგბის კავშირი მართავს დიდ, სეზონის შემაჯამებელ პრეს-კონფერენციას და დამაგვირგვინებელ პრეზენტაციას. ჯილდოები სამი ნომინაციით გაიცემა: წლის საუკეთესო მოთამაშესა და უპირველეს ბომბარდირს სპორტული ნაწარმის უცხოური ფირმების ჩვენში მოქმედი საფირმო მაღაზიები დააჯილდოებენ, ამომავალ ვარსკვლავს კი მოზარდთა რაგბის კლუბ „ხულიგანას“ ჯილდო გადაეცემა.

რაგბის კავშირის აზრით, ყველა ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს რაგბის წარმოჩინებას და დიდად წაადგება იმას, რომ დერჟავის მძლეველი ეროვნული ნაკრები და მოწინავე „ბორჯღალოსნები“ სპორტულმა ჟურნალისტებმა შენიშნონ და სეზონის უკეთეს ათეულებში დაასახელონ. დაახლოებით ამავე მიზანს ემსახურება ქართული კლუბების ხელახალი რეგისტრაციის კამპანიაც: ვისაც გაისადაც სურთ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა, 25 დეკემბრამდე კავშირს უნდა წარუდგინოს წესდება, ემბლემა და სათამაშო ტანისამოსის ფერი.

## ციურიხში არავინ დაგიბარებს და გისაყვედურებს, რატომ წააგეო

მერე რა, რომ ჩვენს ფეხბურთს წინსვლისა არაფერი ეტყობა; წინსვლა კი არა, მთლად დაგვიუძლურდა და დაგვიჩაჩანაკდა. სამაგიეროდ, ფედერაცია მომაგრდა და ფეხზე მოვიდა, უბურთოდ თამაშში ერთობ გაიწვრთნა და გაიწაფა.

„გიდიდგომაზე, გადაყენებაზე და მისთანებზე“ იხილეთ მეორე გვერდზე

## როგორ გამოიყენებს თბილისის „დინამო“ შოკოლადის ფაბრიკის აქციებს?

ბოლო ხანს სპორტულ პრესას ხშირად უხდება წერა იმის თაობაზე, რომ ქართული საფეხბურთო გუნდების მატერიალური მდგომარეობა ერთობ მძიმეა და რომ საჭიროა, რაიონმა შეინახოს თავისი გუნდი, თბილისის „დინამოს“ კი სულაც მთავრობა დაეხმაროს, რათა ჩვენმა ჩემპიონმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოს. ჩვენი ფეხბურთის სვე-ბედს ქართველი ბანკირებიც კი ჩაუფიქრებია და, აგერ, „სარბიელში“ გვაახლეს წერილი, რომელშიც გვაცნობენ, თუ როგორ აჩერხებენ უცხოური კლუბები ფინანსური პრობლემების დაძლევას და იმათი გამოცდილებიდან გამომდინარე საკუთარ მოსაზრებებსაც გვთავაზობენ თბილისის „დინამოს“ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

„თბილისის „დინამო“ — გზა მაღალი საზოგადოებისკენ“ იხილეთ მეოთხე გვერდზე

# გადადგომაზე, გადაყენებაზე და მისთანებზე

წინა ხუთშაბათის „სარბიელში“ გადადგომაზე, ციურიხსა და პლასტმასის ბოთლებზე პატარა წერილი დავბეჭდე, მაგრამ, ვატყობ, არა მხოლოდ ტექსტის სიმცირის გამო, სათქმელი მთლად გასაგებად და გარკვევით ვერ მითქვამს; დამირეკეს და მისაყვედურეს, სტრიქონს უკან ნუ იმალები, გამოდი, დაგვენახე და იწე დაგველაპარაკეო. უარი რა საკადრისია. დღეს წერილის ახალ, „გადამუშავებულ“ და გაშიფრულ ვარიანტს გთავაზობთ, გვარ-სახელებისა და მისამართების თანხლებით.

გადადგომაზე, გადაჯგუფებასა და მისთანებზე საჯარო საუბარი, ჩემდა სამწუხაროდ, მე არ წამომიწყია. ჩემამდე სხვები იყვნენ — ზოგმა თქვა, ზოგმა დაწერა, ზოგმაც გამოაცხადა — მეტის დახანება არ შეიძლება, ფეხბურთის ფედერაციამ საშველი დაგვაყენოს და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი შეცვალოსო.

თითქმის ყველა გაზეთი და ჟურნალისტი, ერთი გაზეთისა და იქაურ ჟურნალისტთა გარდა, ამ ჭკუაზე დადგა.

კანონი არ გამოუციათ, აზრი გამოთქვეს.

ფედერაციას კანონმდებლებმა, კანონთა აღმსრულებლებმა და სხვებმა ვერაფერი დააკლეს და, „უვიც“ ჟურნალისტთა აზრს, აბა, ანგარიშს ვინ გაუწევდა.

ეგრე არ უნდაო და, „ქართულმა ფეხბურთმა“, ფედერაციის მსახურმა გაზეთმა, ქართული ფეხბურთის „მტრებს“ ქვა კუდით ასროლინა, მტერთაგან ყველაზე „მოსისხლე“ — ქართული სპორტული ჟურნალისტიკა კი მთლად მიწასთან გაასწორა.

მერე რა, რომ ფედერაციის გოლეადორთა გულმოდგინება, შინაომებში მოპოვებული ძველი თუ ახალი გამარჯვებები დიდი ფეხბურთის შარაგზაზე ვერ გაგვიყვანს, ფიფას ტურნირთა ცხრილებში ჩვენი გუნდების სასარგებლოდ ვერაფერს შეცვლის და ვერც რეიტინგს გაგვიკეთილშობილებს. სამაგიეროდ, ფედერაციის შენობა კვლავაც დგას ამაყად და შეურყევლად.

მერე რა, რომ ჩვენს ფეხბურთს წინსვლისა არაფერი ეტყობა; წინსვლა კი არა, მთლად დაგვიუძლურდა და დაგვიჩაჩანკდა. სამაგიეროდ, ფედერაცია მომაგრდა და ფერზე მოვიდა, უბურთოდ თამაშში ერთობ გაიწვრთნა და გაიწაფა.

მერე რა, რომ ქართულ გუნდებს, ეროვნულსაც და ახალგაზრდულსაც, თითქმის წელიწადი მიიწურა, შინ და გარეთ, სუსტთანაც და შედარებით ძლიერთანაც, ვერც ერთი ოფიციალური თუ არაოფიციალური თამაში ვერ მოუგია, ფრეც ვერ გაუხერხებია და გულშემატკივრები გაუნაწყენებია. სამაგიეროდ, ფიფა და უეფა მოგვიმადლიერებია და იმათ თვალში „ჩვენი ფედერაციის ავტორიტეტი ერთობ ამაღლებულა“.

ამის შემდეგ ადგება „უვიცი“ და „არაკომპეტენტური“ ჟურნალისტი და დაწერს: ჩვენი ფეხბურთის საქმე მთლად კარგად ვერ არის, რაიმე ვიღონოთ, რაღაც ან ვიღაც შევცვალოთო.

ადგება მცოდნე და კომპეტენტური გენერალური მდივანი, „ქურთუკს შეისწორებს, შეჭაღარავებულ თმაზე ხელს გადაისმევს და ჩვეული დამაჯერებლობით“ უპასუხებს: რატომ ხართ ასეთი ამბიციურები, ნაკრებს და მის მწვრთნელს ცუდი რა შეატყვეთ, პრესის თავისუფლებით ნუ სარგებლობთ, ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცითო.

და გაჩაღდება დიდი ბურთაობა. და ეს ბურთაობა ცალ კარში თამაშს დაემსგავსება. და ამ თამაშში, რა თქმა უნდა, ფედერაცია იმარჯვებს.

აღმოჩნდება, რომ ფედერაცია და მწვრთნელი არაფერ შუაშია. ირკვევა, რომ ძაღლის თავი სხვაგან ყოფილა დამარხული. ხელები შორს ფედერაციისგან! ეს თქვენ, ჟურნალისტებმა წამოიწყეთ ბინძური კამპანია, თქვენს წერილებში სიყვარულის ნატამალი არ არის — მხოლოდ უთავბოლო კრიტიკა, ბოღმა და ღვარძლიო. და რაც მთავარია, უკიდურესი აგრესიულობაო.

რაკი მთავარი დამნაშავე ნაპოვნია, უკვე მხილებულია და სამართალში წარდგენილი, წვრილფეხობასაც მოევლება — ფედერაციის რისხვას ვერც ისინი გადაურჩებიან: 1) ფეხბურთელები — ევროპის მესამე და მეოთხეხარისხოვან გუნდებში რომ თამაშობენ, სამ და ოთხ დოლარს დახარბებულები, ეროვნულ ჩემპიონატს ზურგი რომ აქციეს და საპასუხისმგებლო მატჩებზე სამი და ოთხი კილოთი დამძიმებულები, ერთი და ორი დღის დაგვიანებით რომ ჩამოდიან. 2) ვითომ გულშემატკივრები — ამხელა მატჩისთვის სულ რაღაც თხუთმეტ-ოც ლარს რომ ვერ იმეტებენ და თუ სასწაული მოხდა და გაიმეტეს, თავს იმის უფლებას აძლევენ, მწვრთნელის მიერ ასე კარგად წარმართული მატჩის შემდეგ მეორე იარუსიდან კოკა-კოლას ცარიელი ბოთლები მოისროლონ. 3) სახელმწიფო — დიდი ფეხბურთის ამქარში დაწინაურების პრეტენზია რომ აქვს და იმავდროულად ფედერაციის საქმეებში უცერემონიოდ ჩარევის სურვილიც, მაგრამ ფეხბურთისთვის, აგერ შვიდი წელიწადია, კაპიკიც ვერ გაუმეტებია. სახელმწიფო, რომელსაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, შუქისა და ცხელი წყლის პრობლემა ვერ მოუგვარებია.

აბა, ახლა გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: ამ პირობებში და გარემოცვაში მყოფ და ამდენ უმადურთა პირისპირ დარჩენილ ფედერაციას მადლობა ეკუთვნის თუ საყვედური. ჯილდოს თუ ვერ იმეტებთ, თავი გაანებეთ და თავისთვის დააყენეთ; თუ ვერ ეხმარებით, ხელს მაინც ნუ შეუშლით, ფიფასთან და უეფასთან მისასვლელ გზებს ნუ ჩაუხერგავთ. იმის საშუალება და უფლება მაინც მიეცით, „მათგან ნაბოძებ“ რაღაც ორ-სამ დოლარს, სახლიდან მოტანილი ორი-სამიც მიუმატონ და ქართულ ფეხბურთს მოახმარონ. ხალხი არა ხართ?!

ხალხისას რას გაიგებ. ზოგი ისეთია, რაც არ უნდა საბუთი და არგუმენტი მოუტანო, იხტიბარს არ გაიტეხს და თავისას არ გადავა; შენთვის რომ ორჯერ ორი ოთხია, იმისთვის — ნურას უკაცრავად; შენ რომ იტყვი, ბოროტს კეთილი სჯობს ან, ვთქვათ, ზარალს მოგებაო, უმალ სიტყვას ჩამოგართმევს: მოიცა, მოიცა, საით გაუტიე, საქმე არც მთლად ეგრეაო. მაშ როგორაო? როგორ და აი, ისე, მე და ჩემს უფროსს რომ გვაწყობსო.

ბარემ ისიც გეითხარი, შენ და შენს უფროსს რა გაწყობთო. გეტყვიან: რაც ერთი აბზაცის ზემოთ წერია, ყველაფერი მართალი იყოსო; ჟურნალისტის პროფესია და ყველა გაზეთი გაუქმდეს და თუ მაინცდამაინც აუცილებელია, ჯანდაბას, დარჩეს „ქართული ფეხბურთიო“; ფეხბურთელები ფედერაციაზე და მწვრთნელებზე ცუდს ნურაფერს იტყვიან და თუ უნდათ, ყველანი ფიჯის კუნძულებზე გადასახლდნენ და იქ ითამაშონო; გულშემატკივრებმა წელიწადში ხუთჯერ ოც-ოცი ლარი ფედერაციის ანგარიშზე გადმორიცხონ და სტადიონზე სიარულით თავს ნუ შეიწუხებენო; სახელმწიფოსი არც ფული გვინდა, არც სხვა დანარჩენი, ოღონდ ჩვენს საქმეში და ჯიბეში ხელს ნუ ჩაყოფს, თორემ ლარებს დოლარებად ვაქცევთ და შტაბბინიანად შვეიცარიაში გადავბარგდებითო. ერთხელ და სამუდამოდ ყველამ გაიგოს, რომ ფიფა და უეფა ჩვენი ალალი ბიძაშვილია და სხვა ნათესავი მთელ დუნიაზე არც არავინ გვყოლიაო. და საერთოდ, თუ სრული სიმართლე გინდათ, ფეხბურთი ჩვენ გამოვიგონეთ, აგერ, დიდუბეში — იდეა უფროსისა იყო, ტექსტი მე შევადგინეო.

აბა, ახლა მოდით და ლოგიკა დაგვიწუნეთო!

ბოლოდან ავუყვეთ, ანუ ჯერ ფიფასა და უეფას ამბები გავარკვიოთ. საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციები ეროვნულ ფედერაციათა წმინდა საფეხბურთო საქმეებში ჩარევას კრძალავენ და ცამდე მართლებიც არიან: ფედერაცია მოვალეა ზუსტად დაიცვას ზემდგომის წესები, ინსტრუქციები, მითითებანი და თუ ამას ვერ მოახერხებს, მკაცრად ისჯება. ფედერაციას პასუხს სთხოვენ თამაშის წესების დაცვისთვის და არა შედეგებისთვის. ციურიხში არავინ დაგიბარებს და გისაყვედურებს — ეს რა მოგსვლიათ, თავმოყვარეობა მთლად დაგიკარგავთ, ამდენი თამაში რატომ წააგეთ, თქვენი პოსტებზე დატოვება არ იქნებაო. შედეგზე პასუხს ქვეყანა და ხალხი მოგთხოვს და ცამდე მართალი იქნება. ის ქვეყანა და ის ხალხი, რომელსაც ფიფაშიც წარმოადგენენ და საფეხბურთო მინდორზეც. პასუხს მოსთხოვს და ამას ხან სახელმწიფო მოხელის პირით შემოგითვლის, ხან — პრესა-ტელევიზიით და მაშინ გიჯობს ჭკუა იხმარო — მიიღო, დაუჯდე და მოუსმინო. ნუ იტყვი, შენ ვისი ტიკტომარა ხარ, შენი აზრი ფეხებზე მკიდია, აგერ ფიფა და უეფაო. ნუ იტყვი, აქ რა ნამუსით მოდიხარ, ფეხბურთისთვის წვეთი ოფლი არ დაგიღვრია და კაპიკი არ დაგიდევსო.

თორემ დაგითვლიან და შეგიფასებენ: შენობას, სადაც მუშაობ; სტადიონს — სადაც თამაშობ; გადასახადს, რომელსაც არ იხდი; შეღავათს, რომელსაც გიწევენ;

...შემოსავალს და გასავალსაც დაგითვლიან და თუ რამ ღლავი დაიჭირეს, აქაურებიც გაიგებენ და იქაურებიც. მერე ის თქვენი მოწონებული ფიფაც შემოგწყრება და შესაძლოა ადვოკატობაზეც აიღოს ხელი... სიტყვამ მოიტანა, თორემ, ვის მოუვა აზრად ან ვინ დაიჯერებს, ფეხბურთის ფედერაცია ფულს, თუნდაც დოლარს, ფეხბურთის გარდა, სხვა საქმეში აბანდებსო. ყოველ შემთხვევაში, მე თქვენს მხარესა ვარ და ეჭვიც არ მეპარება, რომ ფეხბურთზე ფიქრსა და ზრუნვაში ალამებთ და ათენებთ. მაგრამ ხომ შეიძლება, ვინმე ინტრიგანი გამოხტეს და იკითხოს: ეგ როგორ მოხდა, რომ საქართველოს ნაკრები ინგლისელებთან თამაშის წინ „დინამოს“ ბაზაზე უშუქოდ და უწყლოდ დაუტოვებიათ და საბუთად, ვთქვათ, მურთაზ შელიას ინტერვიუ მოიტანოს. ხომ შეიძლება იმ კაცმა ფედერაციას უსაყვედუროს, მე და ათას ჩემნაირს ბილეთში ოც-ოცი ლარი რომ დაგვადებინეთ, ის ფული სად წაიღეთ, ბიჭები უშუქოდ რად დატოვეთ და ამხელა თამაშის წინ ანერვიულეთო. ხომ შეიძლება ვიღაცამ იკითხოს: ამ ჩვენს გენერალურ მდივანს (ჟურნალისტებს რომ მიუხტა და სულ მუშტები უტრიალა — თქვენ ბოლმა გახრჩობთ, ფეხბურთი არ გიყვართო) ან მის უფროსს, თუ ფეხბურთელებს შუქი არ ჰქონდათ, ღამე მშვიდად როგორ ეძინათ, ნუთუ 40-50 ბილეთის საფასური ვერ გაიმეტეს და ბიჭებს ვენერატორი ვერ დაუდგესო.

ერთი კითხვა მეც უნდა დავსვა. ვინ არის საქართველოს ნაკრების ჭირისუფალი: ვინც ბილეთში ერთი თვის შემოსავალს იმეტებს, თუ ვინც ბილეთს ამ ფასს ადებს, შემოსავალს სეიფში ინახავს, წაგებული მატჩის შემდეგ კი გამოენთება — რას ერჩით ნაკრებს, ბაზაზე შუქი არ გვქონდა და ინგლისს როგორ მოვუგებდითო. სხვასაც მიაყოლებს: აბა რა გინდოდათ, მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებს ვეთამაშეთ და მათთან მარცხი იგივეა, ჩვენ კალათბურთელებს ნბა-ს გუნდებთან წაეგოთო.

ამას ამბობს ფედერაციის გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე, ახლა კი ამავე ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს მოვუსმინოთ: „დაუმარცხებელი არავინაა. ინგლისელებზე ნაკლებად არც ფეხბურთი და არც მუშტი-კრივი გვეხერხება... ჩვენს ნაკრებს შეუძლია სათანადო მომზადების ხარჯზე არამარტო ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს, არამედ დაამარცხოს კიდეც ეს გუნდი“ („ქართული ფეხბურთი“, 25 ოქტომბერი).

რომელს დავუჯეროთ? მე, ცხადია, ბატონ ნოდარს ვემხრობი, მის აზრს (არა მარტო ფეხბურთზე) პატივს ვცემ. ოღონდ, ვატყობ, ფედერაციის პრეზიდენტი ფედერაციის გაზეთს იშვიათად კითხულობს, თორემ, საეჭვოა, აქაურ ავტორ-ინტერვიუერებს ტონი, სტილი, აზრი და ლოგიკა მოეწონოს.

როცა ამდენი მარცხის შემდეგ კაცი საჯაროდ გამოვა და ჭკუას მარჯვნივ და მარცხნივ არიგებს; როცა მზად არის ეს მარცხი ყველას და ყველაფერს დააბრალოს საკუთარი თავის გარდა; როცა ფიქრთა მპყრობელის პოზაში კვარცხლბეკზე შემომდგარს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად; როცა შაყირობს, იგინება და ილანძღება; და როცა ამ კაცს ფედერაციაში პასუხსაგები პოსტი უჭირავს, ერთ დასკვნამდე მიდიხარ:

ჩვენს ფეხბურთში საქმე იმაზე უარესად ყოფილა, ვინემ წარმოგვედგინა.

და ჩვენს ფეხბურთს კიდევ დიდხანს არ ეშველება.

არა მგონია, ამგვარ პერსპექტივას ვინმე დაყაბულდეს.

არა მგონია, რომ ის კაცი წამოდგეს, ქურთუკი შეისწოროს, შეჭაღარავებულ თმაზე ხელი გადაისვას და თქვას: შემეშალა!

აგერ ჩვენ და აგერ „ქართული ფეხბურთი“.

**ელგუჯა ბერიშვილი**

## გვენცაძე „მარგვეთიდან“ წასვლას აპირებს



ზესტაფონის „მარგვეთში“ მთლად კარგად ვერაა საქმეები. ფეხბურთელებს რამდენიმე თვის ხელფასები და პრემიები არ მიუღიათ და როგორც მარგველთა მეკარემ ვეფხია გვენცაძემ გვითხრა: „მეტის მოთმენა უკვე შეუძლებელია. ფინანსურად გუნდს ძალიან უჭირს და თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, მეეჭვება, „მარგვეთში“ ვინმე დარჩეს. ახლა, 16 იანვრამდე, შვებულებაში ვართ და როცა შევიკრიბებით, ყველაფერი მაშინ გაირკვევა. მოგვცემენ კუთვნილ თანხას — დავრჩებით, არა და... მოსამზადებელ პერიოდში შეკრების მოწყობის ბედი ჯერჯერობით უცნობია, კლუბის პრეზიდენტის ვასილ ხაჭაპურიძის ასავალ-დასავალი კი არავინ იცის“.

ვნახოთ, რა იქნება მომავალში. ისე კი, ვეფხია გვენცაძეს პირველჯგუფელი „ლოკომოტივი“ ეპატიჟებოდა, თუმცა ბოლო მომენტში თბილისელებმაც თავი შეიკავეს.

## „ტორპედო“ ერთ კვირაში იწყებს

სეზონთშორისში გუნდების უმრავლესობა ღრმა ძილს მისცემია. ამადაც გაგვიკვირდა ცნობა, ქუთაისელები 17 დეკემბრიდანვე შეუდგებიან მზადებასო. ეს „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემაც დაადასტურა და დასძინა, იმის მიხედვით, თუ როგორ გუნდს შევკრებთ, გამორიცხული არ არის, მოსამზადებელი პერიოდის გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთაც გავატაროთო.

ბატონმა სოსომ დაგვიდასტურა, რომ რამდენიმე ფეხბურთელის შემატებას აპირებს, მაგრამ მათი გვარების დასახელებისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავა, განსხვავებით თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელისგან, რომელმაც, ფრუიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოვლენებს გაასწრო და „ტორპედოს“ ფორვარდი მიხეილ აშვეთია უკვე თავისად დაიგულა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ქუთაისური კლუბის სპონსორს ბესო ჯიქიასაც თავისი აზრი ჰქონდა, აქაოდა, აშვეთია კონტრაქტითაა „ტორპედოსთან“ დაკავშირებული და კლუბის ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად ჯერ არც არავინ მოსულაო.

როგორც სანდო წყაროდან შევიტყვეთ, „ტორპედოს“ სამტრედიელი ვახტანგ ხვადაგიანის, დინამოელი ზვიად ჯელაძის, სიონელი კონსტანტინე მეტრეველის და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის დამატების სურვილი ჰქონია, მაგრამ რაკი მათთან და მათ კლუბებთან მოლაპარაკება ჯერ სერიოზულ ფაზაში არ შესულა, ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი და სპონსორი კონკრეტულად მოთამაშეთა დასახელებას არ ჩქარობენ.

შუა დეკემბერში მზადების დაწყება, მით უმეტეს მაშინ, როცა წინ შობა-ახალწლის დღესასწაულია, ზოგს შესაძლოა, ნაადრევიც ეჩვენოს, მაგრამ „ტორპედო“ ეტყობა, სერიოზულად ფიქრობს იმ დანაკარგის შევსებას, რაც I წრის წინ მოუმზადებლობამ გამოიწვია.

## გველისმჭამელი [illegible]

[illegible] საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სოსო [illegible] გადავეყარეთ. იგი ბოლოს „ბათუმში“ თამაშობდა, მერე კი უეცრად გაგვიქრა თვალთახედვიდან. ბოლო წელს „ცხუმის“ ყოფილი მარცხენა მცველი ჩინეთში დაფუძნებულა და როგორც თავად გვიამბო, საკმაოდ საინტერესოდაც ჩაუვლია მისთვის გასულ სეზონს.

— ჩინეთში ჩასული გასასინჯად მივედი შანხაის ერთ-ერთ გუნდში, რომელიც ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდიოდა. ამ გუნდში ირიცხებოდა რომეო გოგიტაძე. სეზონისწინა ამხანაგურ თამაშზე შანხაისვე ერთ-ერთ კლუბს მოვეწონე და თავისთან მიმიწვია.

ჩინეთში აუცილებელია კუპერის ტესტის ჩაბარება. მე აქამდე ცოტაოდა დამაკლდა, მაგრამ რაკი თამაშისას ყველაზე მეტს დავრბოდი, გამონაკლისი დაუშვეს და გუნდში ჩამრიცხეს.

თამაში არ გამჭირვებია. ჩინელები ძალიან სწრაფ, მაგრამ გაუაზრებელ ფეხბურთს თამაშობენ, მათ არც ტემპის მართვა იციან და მარცხენა მცველი შეტევაში რომ ჩავერთე, განცვიფრდნენ. ერთ გასვლით თამაშზე ქალაქის მერიც ჩამოვიდა და იმ შეხვედრაში საუკეთესო მოთამაშის პრიზიც მომცეს.

გუნდში ერთადერთი ქართველი ვიყავი და თავიდან, ვიდრე ჩინურის აზრზე მოვიდოდი, ძალიან გამიჭირდა. ერთიორი თვის შემდეგ რომ შევიტყვე, რამდენი ბაყაყი, გველი და კუ მიჭამია, ლამის გავგიჟდი.

საბოლოოდ, ჩემი გუნდი II ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. ჩემს ვიზას ვადა გაუვიდა და სახლში ამისთვის გამომიშვეს, მაგრამ იქ გაბრუნებას აღარ ვაპირებ. საშინელი ფიზიკური დატვირთვები აქვთ, უქმეები მაგათ არ იციან — მიკვირს, როგორ გავუძელი...

სოსოსთან საუბარში გაირკვა, რომ თამაშისთვის თავის განებებას ჯერ არ აპირებს, კვლავ უცხოეთში წასვლის ვარიანტს ელოდება. ისე, არც საქართველოში, კერძოდ, თბილისის ერთ-ერთ გუნდში თამაშს გამორიცხავს. თქვა კიდეც, „მერანში“ სიამოვნებით ვითამაშებდიო.

## დარჩება ჯანელიძე „კახეთში“?

როგორც ცნობილია, „კახეთის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ მახარაშვილმა გუნდი პირველი წრის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე დატოვა. მისი შემცვლელი თელაველებს დიდხანს არ უძებნიათ, ნოდარ ახალკაცის რეკომენდაციით ჯონი ჯანელიძეს სთხოვეს დახმარება და სწორედ იმ პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ცვლილებები — მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი გუნდი კახეთის რეგიონის დოტაციაზე აიყვანეს და ვითარება თითქოს უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით ამის გადაჭრით თქმა ძნელია. რამდენიმე წამყვანი მოთამაშე სწორედ უფულობის მიზეზით ბოლო ტურებში მოედანზე არ გამოვიდა. ისიც საკითხავია, დარჩება თუ არა „კახეთში“ თავად ჯონი ჯანელიძე.

„რა იქნება ხვალ, გამოინახება თუ არა გუნდის შესანახი თანხა, ეს უახლოეს დღეებში გაირკვევა, როდესაც კახეთის რეგიონისა და გუნდის ხელმძღვანელები შევიკრიბებით. ჩემი დარჩენა-არდარჩენა სწორედ ამ შეკრების შედეგებზე იქნება დამოკიდებული. კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის მედიკო მეზვრიშვილსა და გუნდის პრეზიდენტს თამაზ თამაზაშვილს რეგიონის სხვა ხელმძღვანელებიც უნდა ამოუდგნენ მხარში. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი „კახეთის“ შენარჩუნება და I ჯგუფში დარჩენა. თუკი უახლოეს ხანში აუცილებელი თანხა არ გამოიძებნა, ყველანაირი მუშაობა ფუჭი და წყალში ჩაყრილი იქნება. გუნდი სწორედ ახლა საჭიროებს დახმარებას. ფინანსები თუ გამოიძებნა, შევძლებთ გუნდის გაძლიერებას, მოსამზადებელი შეკრების ჩატარებას, ელემენტარულად, ფორმის, ბურთებისა და ბუცების შეძენას. პირობებს თუ არ შეგვიქმნიან, ჩემს იქ დარჩენას აზრი არა აქვს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „სიონს“ ლოცვა თუ უშველის

ვიდრე მეორე წრის პრელუდია, მოსამზადებელი პერიოდი არ დაიწყება, გუნდების მძიმე პირობებზე საუბარი ნაადრევია. მიუხედავად ამისა, ბოლნისის „სიონის“ შესახებ გავრცელებულ ცნობათა ნაერთი შეშფოთების საფუძველს იძლევა.

როგორც ამბობენ, „სიონიდან“ 7-8 ფეხბურთელი წასვლას აპირებს. ერთმა მათგანმა — ზურაბ ქოიავამ ჩვენს კორესპონდენტთან პირად საუბარში განაცხადა, რომ „სიონიდან“ უკვე წამოვიდა. გელა გაბისონია I წრის ბოლოსაც არ მალავდა, რომ თვალი რუსეთისკენ ეჭირა, ამაში ისაც უწყობდა ხელს, რომ „სიონთან“ სამთვიანი კონტრაქტის ვადა ამოეწურა. კიდევ ერთი ფორვარდის — მეტრეველის გარშემო საკმაო აჟიოტაჟი და ტაციაობაა. ბოლნისურ კლუბს, ვეჭვობთ, ამათი დასაჭერი სახსარი აღმოაჩნდეს, თანაც პირველი წრის გასამრჯელოც გასასტუმრებელი აქვს. ასე რომ, „სიონს“ სიონში შესვლა და სანთლების ანთება თუ უშველის, მეორე წრეში ასპარეზობა რომ გააგრძელოს.

## გვასალია „კოლხეთში“

„სამტრედიის“ თავდამსხმელმა ელდარ გვასალიამ გვაცნობა, რომ გუნდში გაჩერებას აღარ აპირებს და ფოთის „კოლხეთთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას. საქმეც თითქმის ბოლომდეა მისული.

„ახლა მთავარი ისაა, „სამტრედიიდან“ ავიღო განთავისუფლების ცნობა. ჯერ ამის თაობაზე ტარიელ ჩაჩუასთან არ მისაუბრია, რადგან იგი უცხოეთშია წასული. ჩამოვა და ვთხოვ, მომცეს გუნდიდან წასვლის უფლება. რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ასე ველარ გავძლებ. დღევანდელ „სამტრედიაში“ კლასის ამაღლებაზე ფიქრიც ზედმეტია. არც წელს ისახავს დიდ მიზნებს „სამტრედია“, ფოთელები კი ევროთასებზე გასასვლელად იბრძვიან და ასეთ გუნდში რომ მიგიწვევენ, ბუნებრივია, ნორმალური ადამიანი უარს ვერ იტყვი“.

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ გვასალია მესამე ფორვარდი იქნება „კოლხეთისთვის“ დათო მახარაძისა და ბოლნისელი კოტე მეტრეველის შემდეგ, რომელთა გადაბირებაც განუზრახავს.



ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ყველაზე იაფად და სწრაფად
(1 დღეში)
(შ.პ.ს, ინდივიდუალური საწარმო, ს.ს)
რუსთაველის 19.
ტელ.: 93-52-34, 99-09-84;
(18 საათიდან) 73-89-39

## ყიზილაშვილი დასაბრუნებლად ემზადება

დათო ყიზილაშვილის ამბავი „სარბიელმა“ რამდენჯერმე გამცნოთ. გეხსომებათ: 20 ივლისს დათო მამა გახდა, 20 აგვისტოს — დაიმტვრა, 20 სექტემბერს თაბაშირი მოიხსნა, 20 ოქტომბერს კი ვარჯიშს შეუდგა. ამ ლოგიკით ყიზო 20 ნოემბერს მინდორზე უნდა გამოსულიყო და ეთამაშა, მაგრამ ამ დღეს მან მხოლოდ ბურთიანი ვარჯიშები დაიწყო. მაგრამ წინ 20 დეკემბერია... როცა შევიტყვე დათო „აიეტი TV-ის“ თასზე აპირებს თამაშს-მეთქი, უმალ მოვინახულე და გავესაუბრე.

— ჩემმა ძველმა უბნელებმა, ჩუღურეთელებმა შემომთავაზეს მათთან ერთად გამოსვლა. იაშვილსა და დემეტრაძესაც ჩვენთან უნდა ეთამაშათ, მაგრამ რატომღაც საქმეს თავი ველარ მოება და ალბათ, ამ თასზე ველარ ვითამაშებ.

**— მაშ, ფეხი სრულიად მოგრჩენია...**

— აბსოლუტურად, თითქოს არც დავშავებულვარ.

**— ფსიქოლოგიური შიში ხომ არ გაქვს?**

— შიში? არავითარი. ისე ვურტყამ, შენი მოწონებული, თანაც, ორივე ფეხით — ერთნაირი ძალით. მოკლედ, მადლობა ღმერთს — ფეხი მომირჩა.

**— როგორ ფიქრობ, მალე აინაზღაურებ დანაკლისს?**

— მთავარია, ფიზიკურად ვიყო მზად დატვირთვებისთვის, სათამაშო პრაქტიკისთვის კი ბევრი მატჩი არ დამჭირდება, ფორმას მალე აღვიდგენ.

**— მაინც, როდის გამოჩნდები მინდორზე?**

— ვფიქრობ, ესენგეს ტურნირისთვის ჩვეულ ფორმაში ვიქნები. 4 იანვარს, როცა „დინამო“ შეიკრიბება, სხვებთან ერთად მეც დავიწყებ სრული დატვირთვით ვარჯიშებს.

**— მეორე წრიდან რამდენიმე დინამოელს წასვლა განუზრახავს, თავად ამბობენ, რომ აქ დარჩენა მათ პროფესიულ ზრდას ხელს არ შეუწყობს. შენ როგორ ფიქრობ?**

— მეტად რთულ სიტუაციაში ვარ. არ ვიცი, როგორ ვითამაშებ და წინასწარ ვერც ვიტყვი, წავალ-მეთქი. რომ წახვიდე, შესაფერის დონეზეც უნდა თამაშობდე. იმის იმედი კი მაქვს, რომ დანაკარგს ავინაზღაურებ, მაგრამ სინამდვილეში რა იქნება, კაცმა არ იცის. თუკი ფორმა აღვიდგინე და ისე ვითამაშე, მე რომ მინდა, ბუნებრივია, წასვლის სურვილი მეც გამიჩნდება. სისულელეა, რაღაც გარკვეულ დონეზე გაიყინო, როცა ამჩნევ, რომ გაცილებით მეტი შეგიძლია. „დინამოსთან“ დეკემბრამდე ვიყავი შეთანხმებული, სამწუხაროდ, ბოლო სამი თვე ვერაფრით დავეხმარე და თავს უხერხულად ვგრძნობ. მაგრამ, ვიცი, თუ ავთამაშდი და ჩემს დონეს მივაღწიე, კლუბის ხელმძღვანელობა ყველანაირად დამეხმარება უცხოეთში წასვლაში. არაა გამორიცხული, მე თვითონ მოვძებნო კლუბი, რაკილა გარკვეული წინადადებები უკვე გამოჩნდა და დამირეკეს კიდეც.

რაც შეეხება ბიჭების წასვლას, მათ უდაოდ უნდა ჰქონდეთ პრეტენზიები უცხოურ კლუბებში თამაშისა, ჩვენი ჩემპიონატის დონეს ისინი კარგა ხანია გასცდნენ. თუ ისინი წავლენ, ჩემი წასვლაც დაჩქარდება. უხერხულია, ახალგაზრდულ გუნდში დარჩე ასაკით უფროსი და ვილაც ახალბედას გზა გადაუკეტო. დაე, იმან ითამაშოს და სცადოს ძალა „დინამოში“. მწვრთნელსაც ხომ უნდა გავუგოთ — ძნელია ცვალებად კონტინგენტთან მუშაობა.

**— ჩემპიონთა ლიგის პერსპექტივები არ გხიბლავს?**

— თუკი ბიჭები დარჩებიან და სერიოზულად მოვემზადებით, არაა გამორიცხული, ჩემპიონთა ლიგას გამოვკრათ ხელი, მაგრამ ახალგაზრდული გუნდით ამის გაკეთება დაუჯერებლად მეჩვენება. ბევრი რამ გარემოებაზეა დამოკიდებული.

**— ალბათ, ძალიან შორს მივდივართ, მაგრამ ამდენი წარუმატებლობის და უგოლობის ფონზე, ნაკრებზე თუ ფიქრობ?**

— ფიქრით როგორ არ ვფიქრობ, მაგრამ მარტო ფიქრი რას მოგიტანს. ჯერ ფორმა უნდა აღვიდგინო, ავთამაშდე და, ჩემი ფეხბურთი თუ ვითამაშე, ალბათ, არც ნაკრებში დაძახება დააყოვნებს.

**მამუკა კვარაცხელია**



## ალეკო რეხვიაშვილი: ლატვიაში კრიტიკას ლანძღვად არ იღებენ

ფეხბურთელთან ფეხბურთზე არ ისაუბრო, ისე როგორ იქნება, მაგრამ ჩემი და ალეკო რეხვიაშვილის საუბარი ჩვეულ საფეხბურთო თემას გვარიანად გასცდა, მით უმეტეს, რომ ჩვენს ლატვიელ ლეგიონერებზე უკვე საკმაოდ ბევრი დაიწერა.

— ლატვიელებს რუსები საშინლად არ უყვართ. ეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. უკეთესი მაგალითი რაღა გინდათ: რიგაში, ლატვიელთა ბარებში რუსები არ შედიან, იციან, იქ მათ არავინ მოემსახურება. თანამდებობის პირებიც სულ ლატვიელები არიან, კანონმდებლობაც მათ უწყობს ხელს. ლატვიის მოქალაქეობის მიღება რუსებს, ფაქტიურად, არ შეუძლიათ. ამის გამო ამ ქვეყნის ნაკრებში პარადოქსული ვითარებაა შექმნილი: მოთამაშეთა 70 პროცენტი რუსია, რომლებიც ლატვიის მოქალაქეები არ არიან. ლატვიის ჩემპიონატში არიან ისეთი გუნდები, რომელთა წევრებსაც ქვეყნის მოქალაქეობა არა აქვთ. მაგრამ ლატვიელთა სიძულვილი უცხოტომელებისადმი მხოლოდ რუსებზე ვრცელდება. ქართველების მიმართ სულ სხვაგვარი დამოკიდებულება და სიმპათია აქვთ, მე ვიტყოდი, ძალიანაც ვუყვარვართ. ლატვიელები კარჩაკეტილი და ცივი ხალხია. სხვისი ჭირი და სატკივარი დიდად არ ენაღვლებათ, მაგრამ როცა საერთო საქმეა საკეთებელი, ჩვენგან განსხვავებით, მხარში ამოდგომა და ერთმანეთის გატანა იციან. ასევეა ფეხბურთშიც. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მეგობრული გუნდია, მაგრამ მოედანზე ყველა ერთმანეთის მხარდამხარ დგას. თუმცა, ჩემთვის, ქართველისთვის, მაინც უჩვეულო იყო ის სიცივე, მოთამაშეებს შორის რომ იგრძნობოდა. ჩვენნაირად კი არ არიან, ერთმანეთის დანახვაზე ხვევნა-კოცნა რომ აგვიტყდება ხოლმე. აქვთ ბევრი ისეთი წესი, რაც ჩვენთვის მიუღებელია. ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ თანაგუნდელის ზურგსუკან ლაპარაკი და მისი გაქილიკება იქ ჩვეულებრივი ამბავია. რა თქმა უნდა, კარგი თვისებებითაც გამოირჩევიან: ნამდვილი პროფესიონალები არიან, თამაშის ბოლო წუთებამდე იბრძვიან. ასევეა ვარჯიშებზეც.

**— „გორდაში“ რომ მსგავსი პირობები გქონოდა, ასეთივე მონდომებული არ იქნებოდი?**

— ...ალბათ... პირობები ბევრს ნიშნავს. რუსთავში რომ მსგავსი ვითარება ყოფილიყო, უცხოეთში არ წავიდოდი. ლატვიის უმაღლეს დივიზიონში 10 გუნდი თამაშობს და უნდა ნახო, როგორ იბრძვიან. ეს იმიტომ, რომ ყველას, ასე თუ ისე, ნორმალური პირობები აქვს.

**— მათი პირველობა როგორი სისტემით ტარდება?**

— ჯერ ორ წრედ თამაშობენ, შემდეგ 6 საუკეთესო გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის, დანარჩენილი 4 — ადგილის შესანარჩუნებლად. აქედან ერთი ჯგუფიდან ავტომატურად ვარდება, მე-9-ზე გასული კი მეორე ლიგის მეორე გუნდთან ატარებს ორ შეხვედრას ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად. ბრძოლა რომ არის, იმიტომაცაა, 10 გუნდი რომ თამაშობს.

**— ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობას კი სასაცილოდაც არ ჰყოფნის საუბარი გუნდების რაოდენობის შემცირებაზე...**

— რა თქმა უნდა, ჩვენსა და ლატვიას შორის არის განსხვავება. ბალტიისპირეთში პრიორიტეტული სახეობა კალათბურთია და ჩემპიონატში 10 გუნდზე მეტი გუნდის ყოლა ლატვიისთვის ზედმეტიც იქნებოდა, მაგრამ ჩვენზე ეს არ ითქმის. თუმცა, გაჭირვების გამო 16 გუნდი ჩვენთვისაც ბევრია. უფულო გუნდებმა რა ფეხბურთი უნდა ითამაშონ? 16 გუნდიან ჩემპიონატს ვითომ ეს გამართლება გამოუძებნეს — გუნდების რაოდენობის შემცირებით კახეთის რეგიონს გუნდს მოაკლებს და იქ ფეხბურთი ჩაკვდებაო. დავიჯერო, გუნდის აუტსაიდერობა და მუდმივად დიდი ანგარიშით წაგება ფეხბურთს უფრო დიდ პროპაგანდას გაუწევს? ის არა სჯობს, II ჯგუფში თამაშობდეს და მაღალ ლიგაში გადასასვლელად იბრძოდეს? ეს რა ჩემი მოსაგვარებელია, მაგრამ გული მწყდება, რომ ჩვენთან ფეხბურთის დონე დაეცა. თორემ, როდის აქეთ იყო, ქართველი მოთამაშე ლატვიაში მიდიოდა? ნორმალური პირობები რომ მქონოდა, აქ არ დავრჩებოდი? დონე რომ დაბალია, ეს ჩვენი ჩემპიონატის სტრუქტურის ბრალიც არის.

**— ჩვენში ჟურნალისტისგან კრიტიკა რატომღაც ლანძღვად ითვლება. ლატვიაში ამ მხრივ როგორი ვითარებაა?**

— ნორმალური. კრიტიკა არავის სწყინს და არც არავის აღიზიანებს. ერთ მაგალითს მოვიყვან: ლატვიის ნაკრებმა შოტლანდიასთან 0:2 წააგო. კაცმა რომ თქვას, სად ლატვია და სად შოტლანდია, მაგრამ პრესამ და ტელევიზიამ ერთი ამბავი ატეხა — როდემდე შეიძლება ვაგებდეთო. მწვრთნელებმაც იწვნიეს საყვედური და ფედერაციის ხელმძღვანელებმაც, მაგრამ კი არ სწყენიათ. მათ ესმით, რომ ჟურნალისტები, რიგითი გულშემატკივრისა არ იყოს, თავიანთი გუნდისგან მხოლოდ მოგებას ითხოვენ. ასევე იყო შოტლანდიასთანაც, მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიის ნაკრების წევრები პრემიერლიგის წამყვან გუნდებში თამაშობენ. ავსტრიასთანაც წააგეს ვენაში — 1:2, მაგრამ ღირსეულად ითამაშეს. იმიტომ, რომ მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობდნენ. შოტლანდიელთა მეკარის, ენდი გორამის ჩინებული თამაში რომ არა, შოტლანდიელები შინ 3 ქულას ვერ წაიღებდნენ. ლატვიელებმა კარგად იციან, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდებიან, მაგრამ ძალ-ღონეს არ იშურებენ, ესტონეთსა და ბელარუსს რომ გაასწრონ. ამას მათთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. გეხსომებათ, რაც უნდა ცუდად ეთამაშათ საბჭოთა კავშირის პირველობაზე კავკასიის გუნდებს, ერთმანეთთან თავს მოიკლავდნენ. ლატვიელებსა და ესტონელებს შორისაც არის მსგავსი. ბელარუსი კი მათთვის იგივე რუსეთია და ლატვიელებისთვის გამარჯვება პრესტიჟის საქმეა. სლავებს ვერ იტანენ. მაღაზიაში გამყიდველს რუსულად რომ მიმართო, ყურადღებასაც არ მოგაქცევს.

**— იქაურ სამზარეულოს თუ გაუგე გემო?**

— არა! ბაზარში რომ შედიხარ, ისეთი სისუფთავეა, ჩვენს საფირმო მაღაზიებს შეშურდებათ. საქონელიც კოხტადაა შეფუთული. ეს ყველაფერი თვალისმომჭრელია, თანაც, პროდუქტები სულ ევროპიდანაა შემოტანილი. მაგრამ, შეჭამ და გემოს ვერ ჩაატან. უკვე ჩვენებური საჭმელები მენატრება.

**— ვინმეს თუ დაუახლოვდი?**

— საერთო ლატვიელებთანაც გამოვნახე და რუსებთანაც. განსაკუთრებით პახას და ლიტველ რიმკუსს დავუახლოვდი. უბრალო და მხიარული ბიჭები არიან, ხასიათით ქართველებს ჰგვანან. ერთმანეთზე გადამკვდარი ძმაკაცები არიან. სხვათა შორის, ეს თამაშის დროსაც ეტყობათ, უფრო ხშირად ერთმანეთს აძლევენ პასებს.

**— ჩვენში, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, და ევროპაში რეჟიმი სხვადასხვაგვარად ესმით: ვთქვათ, ელკიაერი და კრუიფი ჯერ კიდევ სპორტსმენობისას სიგარეტს არ იკლებდნენ, ბრიტანელები კიდევ — სასმელს. თუმცა, იმას ვერავინ იტყვის, რომ ვინმეზე ნაკლები სპორტსმენები არიან. ლატვიაში როგორ ესმით რეჟიმი?**

— იქაც ნაწილობრივ ძველებურად ეკიდებიან ამას. მწვრთნელი ხომ რუსი სტარკოვია. მაგრამ აკრძალული მხოლოდ სიგარეტია. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელთან არ ეწევიან. სმა კი იცოცხლე, კარგი იციან და არავისიც არ ერიდებათ. ჩვენთან, ბანკეტებზე, მოთამაშეები ცდილობენ, მწვრთნელს არ მოხვდნენ თვალში და მათ დასანახად, ჰაჰა, 2-3 ჭიქა შესვან. ლატვიაში კი ასე არ არის. თავად მინახავს, ბანკეტზე ფეხბურთელები მწვრთნელთან ერთად ისე გამომთვრალან, ფეხზე ძლივს მდგარან. დროსტარებაც კარგი იციან. მწვრთნელისთვის მთავარი ისაა, ფეხბურთელმა კარგად ითამაშოს და ისე, გინდ დამთვრალა, გინდ სხვა რამ გაუკეთებია. ფეხბურთელს იმის შეხსენება და სწავლა არ სჭირდება, რომ თამაშისთვის კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს. აი, ვარჯიშზე თუ დააგვიანებს ან გუნდისგან განსხვავებულს ფორმას ჩაიცმევს, სხვა საქმეა. ლატვიელები წესრიგის სიყვარულითა და პუნქტუალობით გამოირჩევიან. ამაში ევროპელებს ჰგვანან. გეტყვიან, ავტობუსი 3 საათზე გადისო და წუთიც რომ დაიგვიანო, მართლა გასული დაგხვდება.

**— ვარჯიშზე არ დაგიგვიანია?**

— შეიძლება არ დამიჯერო, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. რეჟიმზე გეტყვი კიდევ. ჩვენთან გუნდის ვეტერანი ბურთების წაღებას ითაკილებს. „სკონტოში“ კი ჩამოწერილია განრიგი, რომელი ვარჯიშის შემდეგ ვინ უნდა ათრიოს ბურთები. ეს იქ ჩვეულებრივი ამბავია, არც არავის უკვირის და არც არავინ თაკილობს.

**— თავად სიგარეტსა და სასმელზე როგორ ხარ?**

— სიგარეტს არ ვეწევი. სმის დროსაც ჩემი დოზა ვიცი. არ მიყვარს, კაცი რომ დათვრება და სასაცილო გახდება. ძალზე ცოტას ვსვამ და, საერთოდ. მიუხედავად იმისა, რომ ლატვიელებში მიღებულია, ჩვენ მაინც ვერიდებით სმას. ხომ გითხარი, „სკონტოში“ უფრო რუსები თამაშობენ და ხარებივითაც სვამენ. მწვრთნელიც ხომ რუსია, იცის თავისი მოდგმის გამძლეობის ამბავი: შეიძლება ისე დათვრნენ, ფეხზე დგომის თავი არ ჰქონდეთ, მეორე დღეს კი ისე ითამაშებენ, ვერ იტყვი, რომ წინა დღეს მოილხინეს, შენზე მეტსაც ირბენენ და გააკეთებენ კიდეც. თუმცა, ისინი პროფესიონალები არიან, არ ავიწყდებათ, რომ თამაშისთვის ფორმაში უნდა იყვნენ, სხვაგვარად ვერც თამაშს ელირსებიან და ვერც მოგებისთვის განკუთვნილ პრემიას მიიღებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# თბილისის «დინამო»

## გზა მაღალი საზოგადოებისკენ

ბოლო 5 წლის განმავლობაში ინგლისის პრემიერლიგის ბევრი კლუბის მოგება ძალიან გაიზარდა სატელევიზიო გადაცემების უფლებებიდან, სავაჭრო საქმიანობიდან, ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვიდან და სარეკლამო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით, რის შედეგადაც ინგლისის პრემიერლიგა ევროპაში სიმდიდრით პირველ, ხოლო მსოფლიოში, იაპონიის შემდეგ, მეორე ადგილზეა. კერძოდ, გაიზარდა კლუბებში „წილების" ფასი და მაშასადამე, კლუბების მესაკუთრეთა ქონება. მაგალითად, „ლივერპულის" ერთი აქცია ორი წლის წინათ 565 გირვანქა ღირდა, დღეისათვის კი აქციის ფასი 3 500 გირვანქაა. ბევრმა კლუბებში თავისი წილის გაყიდვით დიდი ფული მიიღო. მაგალითად, 1996 წლის ივლისში „ლიდს იუნაიტედის" გაყიდვისას კლუბის ერთ-ერთმა მეპატრონემ თავისი წილის გაყიდვისთვის 5,4 მილიონი გირვანქა მიიღო. „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთ-ერთმა აქციონერმა კი თავისი წილის გარკვეული ნაწილი 21 მილიონ გირვანქად გაყიდა 1996 წლის დასაწყისში.

1994-95 წლების სეზონში პრემიერლიგის 20 კლუბის ერთობლივ ფულის ნაკადს შემდეგი სახე ჰქონდა: შემოსავლები ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვით — 197 მილიონი გირვანქა; შემოსავლები ტელევიზიიდან — 75 მილიონი; კომერციული და სხვა შემოსავლები — 196 მილიონი; ხელფასები — 243 მილიონი; სატრანსფერო გადასახადები არაინგლისურ კლუბებზე — 31 მილიონი; სხვა საოპერაციო ხარჯები — 156 მილიონი.

უნდა აღინიშნოს, რომ პრემიერლიგის ხუთი უდიდესი კლუბის — „მანჩესტერ იუნაიტედის", „ნიუკასლის", „არსენალის", „ტოტენჰემის" და „ლივერპულის" ერთობლივი სასაქონლო ბრუნვა 10 მილიონი გირვანქით მეტია, ვიდრე ერთობლივი სასაქონლო ბრუნვა ლიგის დანარჩენი 72 კლუბისა.

რაც შეეხება პრემიერლიგის 20 კლუბის ერთობლივ საოპერაციო შემოსავლებს, იგი 1993-94 სეზონის 40,8 მილიონი გირვანქიდან 1994-95 სეზონისათვის 49 მილიონამდე გაიზარდა. მაგრამ 84 მილიონი გირვანქის ერთობლივმა სატრანსფერო ხარჯებმა პრემიერლიგის კლუბების ერთობლივი მოგება (მოგებიდან გადასახადებამდე) 6,3 მილიონ გირვანქამდე შეამცირა, რაც ნაკლებია, ვიდრე წინა სეზონის 12,8 მილიონი. ამ მაჩვენებლის მიხედვით „მანჩესტერ იუნაიტედი" 20 მილიონი მოგებით ბევრად უსწრებს დანარჩენ კლუბებს.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" ისე მოიგო 1995-96 წლის ჩემპიონატი, რომ ახალი მოთამაშეების ყიდვაზე დახარჯა პრემიერლიგის გუნდებს შორის ყველაზე ნაკლები თანხა — 530 000 გირვანქა (800 300 დოლარი). ჩემპიონობა „მანჩესტერ იუნაიტედს" აძლევს იმედს მიიღოს 5 მილიონი გირვანქიდან 11 მილიონ გირვანქამდე ახალი შემოსავლები სატელევიზიო გადაცემების უფლებებით, ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვით და სარეკლამო შემოსავლებით. კლუბი იმედოვნებს, რომ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა კიდევ უფრო გაზრდის მის სახელს საზღვარგარეთ, რაც კლუბს საშუალებას მისცემს გაზარდოს ექსპორტი (დაწყებული მაისურებით და დამთავრებული სიცოცხლის დაზღვევის პოლისებით). მაგალითად, 1996 წლის აპრილში დაიწყო „მანჩესტერ იუნაიტედის" საფირმო ნიშნით ვისკის გამოშვება და პირველი პარტია მაშინვე გაიყიდა ტაილანდში. მარკეტინგის საკითხებში კლუბის კონსულტანტის აზრით კლუბის მომავალი ექსპორტშია.

კლუბის წლიური სასაქონლო ბრუნვა ბოლო 5 წლის განმავლობაში თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და 60 მილიონ გირვანქას მიაღწია, რაც ძირითადად სატელევიზიო შემოსავლებით და კლუბის საფირმო სახელიანი სხვადასხვა ნაწარმის გაყიდვით მოხდა. „იუნაიტედის" აქციების ფასმა 1990 წლის შემდეგ 51 პენსიდან 373 პენსამდე აიწია, რამაც კლუბის საბაზრო ფასი 31 მილიონი გირვანქიდან 231 მილიონამდე გაზარდა.

„ჩელსის" მფლობელია კომპანია „ჩელსი ვილიჯი". ამ კომპანიის აქციების კოტირება ბირჟაზე დაიწყო 1996 წლის აპრილში. 1 აქციის ფასი 55 პენსს შეადგენდა. 1996 წლის 21 სექტემბრისთვის აქციების ფასი თითქმის გაორმაგდა და 99,5 პენსს მიაღწია, რაც თითქმის 60 პროცენტით აღემატება ამ ბირჟის საბაზრო ინდექსს.

კომპანიის უდიდესი აქციონერია ჰონკონგში რეგისტრირებული ოფშორული სატრასტო კომპანია RYSAFFE, სიდიდით მეორე აქციონერი კი იყო სადაზღვევო ბროკერი, მილიონერი მეტიუ ჰარდინგი, რომელიც თვენახევრის წინ ტრაგიკულად დაიღუპა. უნდა აღინიშნოს, რომ უცნობია სატრასტო კომპანიის მფლობელთა ვინაობა, არადა დილერებს ეს ძალიან აინტერესებთ, რადგანაც ამ კომპანიამ ბოლო თვეებში ძალიან შეამცირა თავისი წილი „ჩელსი ვილიჯში" (61 პროცენტიდან 39-მდე), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის კარგავს რწმენას „ჩელსი ვილიჯში". მისი ასეთი მოქმედება შეთანხმებულია „ჩელსი ვილიჯთან" და „ჩელსი ვილიჯის" ბროკერთან და ემსახურება იმ სტრატეგიას, რომ აქციების ფასის ზრდა ძალიან სწრაფად არ მოხდეს.

„ჩელსი ვილიჯის" პრეზიდენტის განცხადებით, მათ გააფრთხილეს თავიანთი ბროკერები, რომ სურდათ „ჩელსი ვილიჯის" აქციების ბაზარი ყოფილიყო მოწესრიგებული და ლიკვიდური. ამიტომ ისინი ბროკერებს ამარაგებენ გასაყიდი აქციების ახალი პარტიებით მაშინ, როცა ამისი მოთხოვნა წარმოიშობა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სატრასტო კომპანია თავისი წილის გარკვეული ნაწილის გაყიდვით კარგ მოგებასაც ნახულობს, რადგანაც მან თავისი წილი უფრო დაბალი ფასით იყიდა. მაგალითად, 1996 წლის აგვისტოში გამოშვებული იქნა 3,3 მილიონი აქცია, ფასით 60 პენსი თითოეული, რაც მაშინ 34 პროცენტით ნაკლები იყო „ჩელსი ვილიჯის" აქციების საბაზრო ფასზე.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, „ჩელსი ვილიჯის" აქციებზე ფასის ზრდა გამოწვეულია შემოსავლების მოსალოდნელი ზრდით, კერძოდ, ახალი ხელშეკრულებით სატელევიზიო არხ BSKYB-სთან, ბილეთების გაყიდვით, სავაჭრო საქმიანობით და სტადიონის მახლობლად სასტუმრო-გასართობი ცენტრის განვითარებით.

„ტოტენჰემის" აქციების საფონდო ბირჟაზე გაყიდვის შედეგად მთავარი აქციონერის წილი 41 პროცენტამდე შემცირდა. საფონდო ბირჟის საშუალებით „ტოტენჰემმა" ბოლოს 11 მილიონი გირვანქა მიიზიდა, რის გამოყენებასაც კლუბი სტადიონის ტევადობის 36 000-მდე გასაზრდელად აპირებს.

კლუბების ღირებულების ზრდა კლუბების უფრო და უფრო მეტ მფლობელს არწმუნებს გაიტანოს თავიანთი კლუბების გარკვეული წილი საფონდო ბირჟაზე გასაყიდად. ამით ისინი მიიზიდავენ ფულს თავიანთი საქმიანობის გასაფართოებლად და მათ წილს უფრო მეტი საბაზრო ფასი მიეცემა. მაგალითად, „ნიუკასლი" აპირებს საფონდო ბირჟაზე აქციების გაყიდვით 80-დან 120 მილიონ გირვანქამდე მიიზიდოს ახალი სტადიონისთვის. 1995-96 წლების სეზონში „ნიუკასლის" შემოსავალი დაახლოებით 40 მილიონი გირვანქა იყო, მაგრამ სეზონი მაინც ზარალით დამთავრდა, რადგანაც ფეხბურთელების ყიდვაზე დიდი თანხა დაიხარჯა. 1996-97 წლების სეზონის შედეგებზეც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს შირერში გადახდილი 15 მილიონი გირვანქა (სულ კიგანმა ფეხბურთელებზე 51,6 მილიონი გირვანქა დახარჯა).

„არსენალი" ჯერჯერობით არ ჩქარობს ფულის დახარჯვას. კლუბმა ორი წლის წინ საფონდო ბირჟაზე აქციების გაყიდვის იდეა უარჰყო, მაგრამ ეს საკითხი ალბათ ისევ დადგება დღის წესრიგში.

„ნოტინგემ ფორესტს" სურს მიიზიდოს დიდი ინვესტორი ან გაიტანოს აქციები ბირჟაზე გასაყიდად. ნებისმიერი ცვლილების მისაღწევად საჭიროა კლუბის 209 დამფუძნებლიდან 75 პროცენტის თანხმობა.

„ვესტ ჰემსაც" სურს მიიზიდოს დიდი ინვესტორი, მაგრამ მთავარ დამფუძნებლებს არა აქვთ მაინცდამაინც დიდი სურვილი ხელიდან გაუშვან კლუბის სრული კონტროლი. შესაბამისად არც საფონდო ბირჟაზე აქციების გატანა დგას ჯერჯერობით დღის წესრიგში, მაგრამ კლუბის განვითარებისათვის სახსრების ნაკლებობამ შეიძლება აიძულოს კლუბის მფლობელები მიმართონ საფონდო ბირჟას.

„უიმბლდონიც" ეძებს დიდ ინვესტორს, რადგანაც კლუბს ძალიან ესაჭიროება ახალი ადგილსამყოფელი.

„საუთჰემპტონი" აპირებს ქალაქის გარეუბანში ახალი სტადიონის აშენებას, რისთვისაც მას მნიშვნელოვანი სახსრების მიზიდვა მოუწევს.

„სანდერლენდი" ემზადება თავისი აქციების გარკვეული ნაწილის საფონდო ბირჟაზე გასაყიდად და მიზიდული სახსრებით 15 მილიონად ღირებული 40 ათასიანი სტადიონის აშენებას აპირებს.

„ლესტერი" სერიოზულად განიხილავს საფონდო ბირჟაზე აქციების გაყიდვის საკითხს, რათა მიიზიდოს ფული გუნდისთვის და სტადიონისთვის.

ფეხბურთელები, საერთოდ, სხვადასხვა მიზეზთა გამო ევროპის სამხრეთი ქვეყნების (იტალია, ესპანეთი) კლუბებში თამაშს ამჯობინებენ, მაგრამ ამჟამად ბევრი უცხოელი ვარსკვლავი თამაშობს ინგლისის პრემიერლიგაში და ამის მიზეზი კი ის არის, რომ ამჟამად პრემიერლიგა ყველაზე მდიდარია ევროპაში. თუმცა „ფაინენშლ თაიმზის" მიმომხილველის აზრით, ეს ლიდერობა დიდხანს არ გაგრძელდება. ინგლისი წამყვანი ქვეყანაა ფეხბურთის კომერციულ რელსებზე დაყენებაში, მაგრამ დანარჩენი ქვეყნები ალბათ დაეწევიან მას. იტალიელები, ესპანელები და გერმანელები ისწავლიან, თუ რა ღირს მათი პროდუქცია. იტალია და გერმანია უფრო მდიდარია, ვიდრე ბრიტანეთი და მათ სატელიტურ სატელევიზიო არხებს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უყურებს, განსხვავებით ბრიტანეთის BSKYB-გან. ამის გამო ამ ქვეყნების კლუბები უფრო მეტ შემოსავალს მიიღებენ სატელევიზიო გადაცემების უფლებებისთვის. ამრიგად, „ფაინენშლ თაიმზის" აზრით, ინგლისში უცხოელი ვარსკვლავების მოზღვავება მხოლოდ რამდენიმე სეზონის განმავლობაში გაგრძელდება.

ჯერჯერობით კი ინგლისის პრემიერლიგის კლუბების ერთობლივ 20 მილიონ გირვანქა მოგებასთან შედარებით სერია A-ს 18 კლუბის ერთობლივი ზარალი (70 მილიონი დოლარი) და ესპანეთის უმაღლესი ლიგის კლუბების ერთობლივი მოგება (3,7 მილიონი დოლარი) ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება. როგორც ერთ-ერთი ამერიკული საკონსალტინგო კომპანია აღნიშნავს, იტალიის სერია A-ს კლუბები ერთობლიობაში უფრო ნაკლებ მოგებას ღებულობენ სავაჭრო ოპერაციებით, ვიდრე ინგლისის პრემიერლიგის ზოგიერთი კლუბი.

იგივე ამერიკული კომპანია აღნიშნავს იტალიური კლუბების დიდ ხარჯებს და ახალი შემოსავლების საჭიროებას. უნდა აღინიშნოს იტალიის პარლამენტის მიერ ცოტა ხნის წინათ მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც კლუბებს უფლება ექნებათ დივიდენდები გაანაწილონ აქციონერებზე ნაცვლად რეინვესტირებისა. ეს კი გამოიწვევს კლუბებთან დაკავშირებული ბიზნესის მნიშვნელოვან ზრდას.

იტალიური კანონმდებლობის მიხედვით კომპანიას, რომელსაც სამი მიმდევრობითი წელიწადი მომგებიანი ჰქონდა, უფლება აქვს გაიტანოს თავისი აქციები მილანის საფონდო ბირჟაზე გასაყიდად, ისევე როგორც ეს გააკეთა ზოგიერთმა ინგლისურმა კლუბმა. მაგრამ იტალიური კლუბებისთვის ასეთი ნაბიჯი მხოლოდ შორეული მომავლის საქმეა, რადგანაც ვერცერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას. მაგალითად, იტალიის ჩემპიონატის ლიდერის „ინტერის" ზარალი 1994-95 წლების სეზონში 32 მილიარდ ლირას შეადგენდა და მხოლოდ კლუბის მფლობელების შენაწევრების საშუალებით დაყვანილი იქნა 21 მილიარდ ლირამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვის საქმიანობიდან კლუბის დეფიციტმა 10 მილიარდი ლირა შეადგინა და ფეხბურთელების საბალანსო ღირებულება 120 მილიარდ ლირას გაუტოლდა.

„ინტერის" გენერალური მენეჯერის ლუიჯი პრედევალის (იგი ცოტა ხნის წინათ მივიდა „ინტერში" ამერიკული საკონსალტინგო კომპანიიდან) აზრით, იტალიურმა ფეხბურთმა უნდა შეცვალოს თავისი ფინანსური საქმიანობა. იტალიის სერია A-ს კლუბების შემოსავლების დაახლოებით 60 % იხარჯება ფეხბურთელების ხელფასებზე. იმისათვის, რომ შეამციროს ხარჯები, პრედევალი ფიქრობს 26 კაციან ფეხბურთელთა გუნდი შეამციროს 22 კაცამდე. კლუბებს დახმარებას გაუწევს მთავრობის გადაწყვეტილებაც ამორტიზაციის სამწლიანი პერიოდის შესახებ. მთავრობის ეს ნაბიჯი კლუბებს საშუალებას მისცემს ბოსმანის საქმიდან (თუ ფეხბურთელთან კონტრაქტის ვადა დამთავრებულია, მაშინ კლუბი ვერ ღებულობს სატრანსფერო თანხას, როცა ფეხბურთელი გადადის ევროგაერთიანების რომელიმე ქვეყნის კლუბში) გამომდინარე სირთულეების მოგვარებაში. კერძოდ, ფეხბურთელის კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ ფეხბურთელს უკვე აღარ აქვს „ნარჩენი" ღირებულება კლუბისთვის. ამიტომ თუ ამორტიზაციის პერიოდი მეტი იქნება, ვიდრე კონტრაქტის ვადა, მაშინ ვერ მოხდება საკონტრაქტო თანხის სრული ამორტიზაცია და მაშასადამე, კომპანია ვერ მიიღებს სრულ საგადასახადო შეღავათს. აქედან გამომდინარე, ამორტიზაციის პერიოდის შემცირება დახმარებას წარმოადგენს კლუბებისთვის.

პრედევალის მთავარი მიზანია მიაღწიოს დიდი კლუბებისთვის სატელევიზიო გადაცემების უფლებებისთვის შემოსავლებიდან დიდი წილის მიღებას. მისი აზრით, ახლა, როცა სერია A-ს ყველა კლუბი ღებულობს 5,2 მილიარდ ლირას წელიწადში, სახელმწიფო სატელევიზიო კომპანია RAI-ს მიერ სერია A და სერია B-ს კლუბების თამაშების გადაცემისთვის გადახდილი 200 მილიარდი ლირადან, არ არის სწორი. დიდი კლუბები ხომ უფრო დიდ აუდიტორიას უგროვებენ ტელევიზიას. მაგალითად, „იუვენტუსისა" და „მილანის" გულშემატკივრების წილი, ხელმოწერებით ცალკეული თამაშის სანახავად, 64 %-ს შეადგენს, მაგრამ ისინი არ იღებენ გადაცემის უფლებებიდან შემოსავლების 64 პროცენტს. უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლები სატელევიზიო გადაცემების უფლებებიდან 1997-98 წლებისათვის 379 მილიარდ ლირამდე გაიზრდება, მაგრამ ზრდის ეს ტემპი მაინც არ არის ისეთი, როგორც სხვა ქვეყნებში.

ამრიგად, უცხოელი სპეციალისტების აზრით, ყველა ქვეყნის საფეხბურთო კლუბებმა უნდა მიბაძონ ინგლისის პრემიერლიგის კლუბებს ფეხბურთის კომერციულ რელსებზე დაყენებაში. კერძოდ, ეს ეხება თბილისის „დინამოსაც", რომელსაც დღეისთვის საერთოდ არა აქვს შემოსავალი ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვით, აგრეთვე სატელევიზიო გადაცემების უფლებებით. ამიტომ კლუბმა უნდა გააქტიუროს კომერციული საქმიანობა, რომელიც სატრანსფერო შემოსავლებთან ერთად კლუბის შემოსავლების მთავარ წყაროდ უნდა იქცეს. თბილისის „დინამოს" ამ მხრივ მშვენიერი საფუძველი შეუქმნა ქვეყნის პრეზიდენტმა, შოკოლადის ფაბრიკის „მზიურის" 35 პროცენტის უსასყიდლოდ გადაცემით. „მზიურის" პროდუქციის მაღალი ხარისხი (ცნობილია, ჩვენი ქვეყნის ფერმერების გარეშე ას კაკაოს მარცვლებისგან შოკოლადის ერთ-ერთ მწარმოებელს წარმოადგენს კავკასიის რეგიონში). „მზიურს" ესაჭიროება მხოლოდ თანამედროვე შესაფუთი დანადგარები და საბრუნავი კაპიტალი, რის შემდეგადაც, ჩვენი აზრით, „მზიურისთვის" ძნელი არ იქნება დომინირებული პოზიცია დაიკავოს ჩვენი ქვეყნის და შეიძლება მთელი კავკასიის ბაზარზეც. შესაფუთი დანადგარებისა და საბრუნავი კაპიტალის მისაღებად კი შოკოლადის ფაბრიკას ესაჭიროება ინვესტორი. გარედან მოსული ინვესტორის შემთხვევაში (რომლის დროსაც, ალბათ, თბილისის „დინამოს" წილი შემცირდებოდა „მზიურში") „დინამოს" შეეძლო პასიურ როლში ყოფნა და ისე მიეღო გარკვეული შემოსავლები. ჩვენი აზრით, „დინამოსთვის" უფრო მომგებიანი იქნებოდა, თუ თვითონ იკისრებდა ინვესტორის როლს (ასეთ შემთხვევაში „დინამოს" წილი „მზიურში", პირიქით, გაიზრდებოდა), ესე იგი, „დინამოს" თვითონ ეშოვნა სახსრები „მზიურში" ჩასადებად.

როცა კომპანიას ესაჭიროება რესურსები თავისი საქმიანობის გასაფართოებლად, მან ან ბანკიდან უნდა აიღოს კრედიტი, ან გაზარდოს აქციონერთა რაოდენობა. დღეისათვის საქართველოში არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო და იმ რაოდენობის გრძელვადიანი კრედიტის არარსებობის გამო, რაც „დინამოს" დასჭირდება „მზიურის" მნიშვნელოვანი ძალით ასამოქმედებლად, კრედიტის გზა გამორიცხულია. მაშასადამე, რჩება აქციონერთა რაოდენობის გაზრდა, ანუ „დინამომ" უნდა გაყიდოს გარკვეული რაოდენობის აქციები, რათა მიიზიდოს ახალი კაპიტალი.

ჩვენი აზრით, ქართულ კომპანიებს შორის „დინამო" ერთ-ერთია, რომელსაც კარგი შანსი აქვს წარმატებით განათავსოს თავისი აქციები ადგილობრივ ბაზარზე. კერძოდ, ჩვენი მოსახლეობის ფეხბურთისადმი დიდი სიყვარულის გამო, ბევრი „დინამოს" აქციას უბრალოდ იმის გამო იყიდის, რომ მის მიერ აქციაში გადახდილი თანხა „დინამოს" მოხმარდება და თან ის კლუბის ერთ-ერთი თანამფლობელი გახდება. ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს აქციები დაკავშირებული იქნება ისეთ მომგებიან ბიზნესთან, როგორიც შოკოლადის წარმოებაა და აგრეთვე „დინამოს" სატრანსფერო შემოსავლებთან, მაშინ ჩვენი მოსაზრება აქციების წარმატებით განთავსების შესახებ გადამეტებული არ მოგეჩვენებათ. შედეგად კი „დინამოს" გაუჩნდება კაპიტალი, რომელიც საკმარისი იქნება არამარტო „მზიურის" მნიშვნელოვანი ძალით ასამოქმედებლად, არამედ კლუბის სხვა საჭიროებებისთვისაც.

რაც შეეხება აქციების განთავსებას, ფასისა და რაოდენობის დადგენას, რაც დაკავშირებულია კომპანიის შეფასებასთან, ეს საინვესტიციო საბანკო საქმიანობის სფეროს განეკუთვნება და ამ საქმის წარმატებით შესრულება შეუძლია „თბილუნივერსალბანკსა" და „პრომინვესტს".

ის მოსაზრება კი, რომ საქართველოს სხვა საფეხბურთო კლუბებს რეგიონის ან რაიონის ხელმძღვანელობა უნდა დაეხმაროს, არ მიგვაჩნია სწორად. ფეხბურთი არ არის საქველმოქმედო საქმიანობა. ყოველი კლუბი დამოუკიდებელი იურიდიული პირია და სახელმწიფოსგან ერთის დახმარება ნიშნავს, რომ ეს ხდება სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირების ხარჯზე. კლუბების მფლობელებმა უნდა შეძლონ ბიზნესის ნებისმიერ სხვა სფეროში ან საკუთარი შესაძლებლობების ხარჯზე მართონ თავიანთი საქმეები, ან თუ საკმარისი სახსრები თავიანთი საქმიანობისთვის არ გააჩნიათ, მაშინ შეძლონ დააინტერესონ გარეშე პირები თავიანთი კლუბით და გაზარდონ კლუბის მესაკუთრეთა რიცხვი (ესე იგი, მიიზიდონ დამატებითი რესურსები) ან მიჰყიდონ მათ კლუბი. წინააღმდეგ შემთხვევაში კლუბს, როგორც ნებისმიერ კომპანიას ბიზნესის ნებისმიერ სფეროში, ლიკვიდაცია ემუქრება.

**სულხან გვალია**
„თბილუნივერსალბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

**რევაზ ორმოცაძე**
„პრომინვესტის" აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი



ამა წლის 27 ოქტომბერი. „მეტიუ, მშვიდად განისვენე" — ასე მიაგეს პატივი „ჩელსის" ფეხბურთელებმა ტრაგიკულად დაღუპულ მილიონერ მეტიუ ჰარდინგს, კლუბის ერთ-ერთ მსხვილ აქციონერს.

## ინგლისი

### XVII ტურის ბოლო მატჩი

**ნოტინგემი 0:0 ნიუკასლი**

**ნოტინგემი: კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ფილიპსი, ხონდერსი, კემპბელი, ვოანი, ალენი, ჰაალანდი**

**ნიუკასლი: სრნიჩეკი, უოტსონი, ელიოტი, პიკოკი, ალბერი, ლი, ბერდსლი, გილესპი, შირერი, ფერდინანდი, ჟინოლა**

**გაფრთხილება: ვოანი, პირსი**

კიგანის გუნდმა საჭირო გამარჯვებას ვერ მიაღწია. მართალია „ნიუკასლმა" ისე ითამაშა, რომ არ გცოდნოდა, იფიქრებდი სტუმრად კი არა, შინ „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" უტევსო, მაგრამ მხოლოდ უპირატესობა სამი ქულის ჩასაწერად საკმარისი არ გამოდგა. ლეს ფერდინანდისა და ალან შირერის დუეტმა,



შირერი ნოტინგემელთა გარემოცვაში

რომელიც კიგანს 21 მილიონი გირვანქა დაუჯდა, ბურთს მარკ კროსლის კარის ხაზი ვერაფრით გადააკვეთინა. ფერდინანდმა თითო ტაიმში, ახლო ძელთან, თითო თავური ვერ დაუმიზნა, შესვენებამდე წამებით ადრე კი შირერის დაგდებული ხარიხას გადააცილა. თავად შირერი, რომ შეეგდო, სამი სეზონის წინ დამყარებულ მარკ სტენის რეკორდს გაიმეორებდა. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს უძვირესმა ფეხბურთელმა, პრემიერლიგის ზედიზედ შვიდ მატჩში გაიტანა, ხოლო მერვეში როგორც ვთქვით, ვერ მოახერხა.

ცალკე გამოსაყოფია ფრანგი დავიდ ჟინოლას თამაში. მარცხენა ფრთიდან მისი დაუღალავი დრიბლინგი და მაღალი თუ დაბალი პასი, საკმაოდ უკან ჩასვლასა და ბურთის წასართმევად ბრძოლას ენაცვლებოდა. საშუალება რომ მიეცა, თავადაც დაარტყა, მაგრამ კროსლიმ აუღო.

კოლუმბიელი ფაუსტინო ასპრილია უეფას თასის შეხვედრაში „მეცთან" მიღებული ტრავმის გამო ვერ დაეხმარა თანაგუნდელებს. იმ მატჩთან შედარებით კიდევ ის განსხვავება იყო, რომ კიგანმა 3-5-2 4-4-2-ად გადააწყო და ნოტინგემში ისე იასპარეზა.

ბედმა არც მასპინძელთა გამარჯვება ისურვა. მეორე ტაიმში მათ ორი ისეთი მომენტი ვერ გამოიყენეს, თქვენი მოწონებული. თუ პირველ ეპიზოდში უელსელ დინ სონდერსს პაველ სრნიჩეკმა აუღო, დეს ლიტლის დარტყმული კარს გოჯით რატომ აცდა, მხოლოდ იღბალმა უწყის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 17 | 10 | 5 | 2 | 33:16 | 35 |
| უიმბლდონი | 16 | 9 | 4 | 3 | 29:17 | 31 |
| ლივერპული | 16 | 9 | 4 | 3 | 26:14 | 31 |
| ნიუკასლი | 16 | 9 | 3 | 4 | 26:17 | 30 |
| ასტონ ვილა | 17 | 9 | 3 | 5 | 22:15 | 30 |
| მანჩესტერი | 16 | 7 | 6 | 3 | 31:24 | 27 |
| ჩელსი | 16 | 6 | 7 | 3 | 25:23 | 25 |
| ევერტონი | 16 | 6 | 6 | 4 | 25:20 | 24 |
| შეფილდი | 16 | 6 | 6 | 4 | 17:18 | 24 |
| ტოტენჰემი | 16 | 7 | 2 | 7 | 17:17 | 23 |
| დერბი | 16 | 5 | 7 | 4 | 19:19 | 22 |
| ლესტერი | 17 | 6 | 3 | 8 | 17:22 | 21 |
| ლიდსი | 16 | 6 | 2 | 8 | 15:20 | 20 |
| ვესტ ჰემი | 17 | 4 | 6 | 7 | 15:22 | 18 |
| სანდერლენდი | 16 | 4 | 5 | 7 | 14:21 | 17 |
| მიდლსბრო | 17 | 3 | 6 | 8 | 20:28 | 15 |
| ბლექბერნი | 16 | 2 | 7 | 7 | 16:21 | 13 |
| საუთჰემპტონი | 17 | 3 | 4 | 10 | 24:31 | 13 |
| ნოტინგემი | 16 | 1 | 7 | 8 | 12:25 | 10 |
| ქოვენთრი | 16 | 1 | 7 | 8 | 10:23 | 10 |

იტალიის „პარმას" ყოფილმა მწვრთნელმა ნევიო სკალამ განაცხადა, რომ შესაძლოა სამუშაოდ საზღვარგარეთ წავიდეს, თუმცა იქვე დასძინა, „ბარსელონა" და მიონხენგლადბახის „ბორუსია" გამორიცხულიაო. მისი ხელმძღვანელობით „პარმამ" უეფას, თასების თასი და ევროპის სუპერთასი მოიგო. სკალამ ასევე უარჰყო ხმები „სკუადრა აძურას" შესაძლო მწვრთნელობის თაობაზე.

**ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთი მაჩანჩალა „საუთჰემპტონი" მალე 16,5 მილიონ დოლარად გაიყიდება. კლუბი უკვე შეთანხმებია კომპანიას, რომელიც უახლოეს მომავალში მისი პატრონი გახდება. „საუთჰემპტონი" ცხრილში ბოლოდან მე-3 ადგილზეა 17 თამაშიდან 13 ქულით.**

ფრანგი ვარსკვლავის დავიდ ჟინოლას თქმით, ეს სეზონი მისთვის შესაძლოა ბოლო გამოდგეს პრემიერლიგაში. მიზეზად მან სამშობლოს, ოჯახის და მეგობრების მონატრება დაასახელა. „ჩემთვის გასაგებია, რატომ შეექმნა „მიდლსბროში" პრობლემები ემერსონს, ადვილი ასახსნელია ბრანკოს გადაწყვეტილებაც. ჩვენ ყველას სამშობლო გვენატრება". ჟინოლამ გამოთქვა სურვილი, იასპარეზოს ბრიტანეთის ავტოსპორტის ჩემპიონატში: „შესაძლოა, ფეხბურთს შევეშვა. ავტოსპორტი ყოველთვის მიზიდავდა". ჟინოლამ გასულ კვირას უკვე ივარჯიშა შვეიცარიელ პილოტ ალან მენიუსთან ერთად.

**საფრანგეთში გაიმართა ლიგის თასის გათამაშების მეორე წრის ორი შეხვედრა. „ლიონმა" დაამარცხა „პსჟ" 2:1, „ოლიმპიკმა" ქვეყნის ჩემპიონ „ოსერს" 3:2 მოუგო.**

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ, შესაძლოა, 12-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯოს არგენტინელი დიეგო სიმეონე, რომელიც ბოლო ტურის მატჩში ძალზე უხეშად ეთამაშა „ბილბაოს" კაპიტანს გერეროს. ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა არგენტინელი ასე უხეშობს. მას წინა სეზონშიც „შეემთხვა" იგივე იმავე გერეროსთან, ბრაზილია — არგენტინის მატჩში კი „დეპორტივოს" ბრაზილიელ ფორვარდს რივალდოს ხელზე ისე დააბიჯა, საცოდავს ახლაც ეტყობა ნაიარევი. „ატლეტიკოს" პრეზიდენტი ხესუს ხილი გამოექომაგა სიმეონეს, დიეგოს უხეშად სულაც არ უთამაშიაო.

**ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა გამორჩეულად აღნიშნოს პიტერ შილტონის მიღწევა: ცნობილი მეკარე შობისწინა დღეებში ინგლისის სხვადასხვა ლიგებში საიუბილეო, მეათასე შეხვედრის ჩაატარებს. გადაწყდა მოედანზე უზარმაზარი ტორტის შეტანა, რომელზეც ათასი სანთელი ენთება. კარიერის მანძილზე შილტონი შემდეგ კლუბებში ასპარეზობდა: „სტოკ სიტი", „ნოტინგემი", „საუთჰემპტონი", „დერბი ქაუნთი", „პლიმუტი", „ბოლტონი", და „ლეიტონ ორიენტი". მას ბოლო 25 წლის განმავლობაში კლუბებში მხოლოდ 40-მდე კალენდარული მატჩი აქვს გამოტოვებული. შილტონის შემდეგ ყველაზე მეტი მატჩი ტერი პეინის ანგარიშზეა — 824. სტენლი მეტიუზსაც შეეძლო 1 000 მატჩის მითვლა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა დიდ ფეხბურთელს ექვსი წელი წაართვა.**

იტალიის სერია B-ს მონაწილე „კასტელ დი სანგროს" ორი მოთამაშე დაიღუპა ავტოკატასტროფაში. 23 წლის თავდამსხმელი დანილო დი ვიჩენცო და 19 წლის ფილიპო ბიონდი ადგილზევე გარდაიცვალნენ მას შემდეგ, რაც მათი მანქანა გაჩერებულ სატვირთოს შეასკდა.

**ესპანური გაზეთის AS-ის ცნობით, „ბარსელონას" ბრაზილიელმა ფორვარდმა რონალდომ კლუბთან კონტრაქტი 2006 წლამდე გააგრძელა. ფეხბურთის ადვოკატმა ჯოვანი ბრანჩინიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „ბარსასთან" საკმაოდ თბილი და საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებთ, კონტრაქტის წვრილმანების გამომზეურებისგან კი თავს შევიკავებ. რონალდოს წლიური ხელფასი კლუბში 1,9 მილიონი დოლარია.**

ბულგარელმა ლუბოსლავ პენევმა უარი განაცხადა ნაკრებში თამაშზე

## ფეხბურთის რუკასთან



და მხარი დაუჭირა ხრისტო სტოიჩკოვს, რომელმაც ასევე არ ისურვა ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კვიპროსის წინააღმდეგ ნაკრებში თამაში. „სანამ ფედერაციის სათავეში ეს ხალხი იქნება, ნაკრებში გამოსვლის არანაირი სურვილი არ მაქვს. ძალიან მეწყინა, როცა ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან დათხოვნა პირადად არ მაცნობეს და ამის შესახებ მხოლოდ გაზეთებიდან შევიტყვე" — განაცხადა ლუბომ. ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხრისტო ბონევის თქმით, პენევს სოფიის ცსკა-ს ფორვარდი ივაილო ანდონოვი შეცვლის.

**იტალიის „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კლუბს კატეგორიულად მოსთხოვა გამარჯვება მომავალ ტურში: „ვიჩენცასთან" ფრე, ვფიქრობ, ლოგიკური იყო. მინდა, წელს ჩემპიონები გავხდეთ, ასეთი თამაშით კი ვერაფერს მივაღწევთ. ზედიზედ ოთხი ფრე მეტისმეტია. მოთმინების ფიალა ამევსო" — განაცხადა მორატიმ. 3 ნოემბრის შემდეგ „ინტერმა" ფრედ ითამაშა „ფიორენტინასთან", „მილანთან", „კალიარისთან" და „ვიჩენცასთან".**

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მწვრთნელს ბრაიან ჰამილტონს ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი გამოაკლდა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ალბანეთის წინააღმდეგ. ამ შეხვედრისთვის ვერ მოემზადებიან როუგანი, ვორსინგტონი, მეჯილტონი, გრიფინი და გილესპი. „ნიუკასლში" მოთამაშე ეს უკანასკნელი ორშაბათის მატჩში „ნოტინგემის" წინააღმდეგ სტიუარტ პირსთან შეჯახებისას დაშავდა. გამოკლებულთა შეცვლა ჰამილტონმა ახალგაზრდა მოთამაშეებით გადაწყვიტა. 22 წლის ჯეიმს ქუინი და მარკ გრემი უკვე შეკრებაზე იმყოფებიან.

**ესპანელებს, ჩრდილოირლანდიელების მსგავსად, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გამოაკლდათ, უფრო ნახევარდაცვის ხაზში. მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელის კამინეროს ტრავმის შესახებ ადრეც იყო ცნობილი, ახლა კი, იუგოსლავიის ნაკრებთან მატჩის წინ, კლემენტემ იერო და გერეროც მოისაკლისა. ფერნანდო იერომ, ნაკრების ლამის უცვლელმა წევრმა ბოლო 6 წლის განმავლობაში, „ბარსელონასთან" მატჩში ტრავმა მიიღო, ხოლო „ატლეტიკში" მოთამაშე გერერომ ვერც კი ივარჯიშა სიმეონესგან მიღებული ტრავმის შემდეგ. კლემენტემ მათ მაგივრად „ბეტისისა" და „დეპორტივოს" ნახევარმცველები რობერტო რიოსი და არმანდო ალვარესი გამოიძახა.**

ნიგერიის ნაკრები შესაძლოა შეხვდეს საფრანგეთისას „სტად დე ფრანსის" გახსნის მატჩში. მიშელ პლატინის აზრით, „არწივები" ძლიერი სპარინგ-პარტნიორები არიან. ფრანგთა შესაძლო მეტოქეთა სიიდან ამოვარდნენ ბრაზილია, იტალია, ინგლისი და გერმანია, რომლებსაც ამხანაგური თამაშების კალენდარი დიდი ხანია შეევსოთ.

**არგენტინელი ვარსკვლავის დიეგო მარადონას უკანონო შვილი დიეგო მარადონა-უმცროსი მონაწილეობას მიიღებს ნეაპოლში გასამართ 12-წლამდელთა საშობაო ტურნირში. იგი მამასავით „10"-იანი მაისურით იასპარეზებს.**

ინგლისურმა ტელეკომპანიამ BBC-მ 120 000 გირვანქა გადაუხადა „ჩარლტონ ატლეტიკს", რათა „ნიუკასლის" წინააღმდეგ გასამართი სათასო მატჩის პირდაპირი ტრანსლაციის უფლება ეყიდა. ტელეკომპანიამ ამდენივე გადაუხადა „მანჩესტერ იუნაიტედს" და „ტოტენჰემს", სანაცვლოდ კი მათი თამაშის ტრანსლაცია დაიბევა. ასეთი გარიგებით ოთხივე კლუბმა, უფრო კი პირველდივიზიონელმა „ჩარლტონმა" ერთობ იხეირა.

**ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა, ევროპის სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა მარკო ვან ბასტენმა განაცხადა, რომ შესაძლოა ფეხბურთს დაუბრუნდეს, ოღონდ დასძინა, უმაღლეს დონეზე თამაში საეჭვოაო. კოჭის საბედისწერო ტრავმის გამო ფეხბურთთან გამოთხოვებული მარკოს თქმით, მას ფიქრისთვის საკმაო დრო ჰქონდა და გადაწყვიტა, საყვარელ საქმეს დაუბრუნდეს. ჟურნალისტებთან საუბარში მან თქვა, რომ ზაფხულში პლაჟზე ფეხბურთის თამაშმა დიდი სიამოვნება მოჰგვარა და ძველი დრო გაახსენა.**

იტალიაში მოყვარულ ფეხბურთელთა კიდევ ერთი, პროფესიით გაერთიანებულთა გუნდი შექმნა. მომღერლების, მსახიობების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების მსგავსად გუნდი შექმნეს სტრიპტიზის „ოსტატებმა". მათ უკვე ფორმის ფერებიც შეარჩიეს — თეთრი ტრუსები და ლურჯი მაისურები, ეროვნული ფედერაციაც ჩამოაყალიბეს და პრეზიდენტიც აირჩიეს. მის ვინაობას ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ, მისი მხოლოდ მეტსახელია ცნობილი „ნიკოლასი". ნაკრების მთავარი მწვრთნელია წარსულში „რომას" მცველი ენცო რომანო.

**ინგლისის, პრემიერლიგის გუნდებმა უკვე შეიგულეს ის მოთამაშეები, რომელთა გადაბირებაც სურთ. „ლიდს იუნაიტედი" „ინტერს" ედავება პოლონელ ფორვარდ მარეკ ციტკოს. ალბიონელებმა ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ „ლეგიას" მილიონი გირვანქა შესთავაზა. „ლივერპულმა" გადაწყვიტა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმოს „როსენბორგის" მოთამაშე ბიორნ ტორე კვარმესთან. ნორვეგიელს ინგლისელები წელიწადში 750 000 გირვანქას სთავაზობენ. კვარმეთი „რეინჯერსიც" იყო დაინტერესებული, მაგრამ მან ინგლისი ამჯობინა. შესაძლოა, „შეფილდში" მილიონ გირვანქად გადავიდეს თელავივის „მაკაბის" 24 წლის ნახევარმცველი ევი ნიმნი.**

## „ბარსელონა" გაფერადდა

ნიგერიელი ფორვარდი ემანუელ ამუნიკე 3,85 მილიონ დოლარად ლისაბონის „სპორტინგიდან" „ბარსელონაში" გადავიდა. კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამუნიკე სრულფასოვნად შეცვლის დაშავებულ ხრისტო სტოიჩკოვს.




იყიდება

ოროთახიანი ბინა

ქუთაისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე

ან

იცვლება

ერთოთახიან ბინაზე

თბილისში

ტელ. 60 58 84


## ესპანეთი

მე-16 ტურის ბოლო მატჩი. ერკულესი — სევილია 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 16 | 11 | 5 | 0 | 33:12 | 38 |
| დეპორტივო | 16 | 10 | 6 | 0 | 24:7 | 36 |
| ბარსელონა | 16 | 10 | 4 | 2 | 46:21 | 34 |
| ბეტისი | 16 | 9 | 5 | 2 | 33:14 | 32 |
| ატლეტიკო | 16 | 8 | 4 | 4 | 27:18 | 28 |
| სოსიედადი | 16 | 8 | 3 | 5 | 22:19 | 27 |
| ბილბაო | 16 | 7 | 5 | 4 | 29:23 | 26 |
| ვალიადოლიდი | 16 | 7 | 4 | 5 | 20:19 | 25 |
| სელტა | 16 | 6 | 5 | 5 | 19:18 | 23 |
| ტენერიფე | 16 | 6 | 4 | 6 | 26:18 | 22 |
| რასინგი | 16 | 5 | 7 | 4 | 16:17 | 22 |
| რაიო | 16 | 5 | 5 | 6 | 21:20 | 20 |
| ვალენსია | 16 | 6 | 2 | 8 | 23:23 | 20 |
| ესპანიოლი | 16 | 5 | 4 | 7 | 20:20 | 19 |
| ოვიედო | 16 | 4 | 4 | 8 | 18:24 | 16 |
| სპორტინგი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:22 | 16 |
| კომპოსტელა | 16 | 4 | 4 | 8 | 14:29 | 16 |
| ლოგრონიესი | 16 | 4 | 3 | 9 | 12:38 | 15 |
| სარაგოსა | 16 | 2 | 8 | 6 | 18:26 | 14 |
| სევილია | 16 | 4 | 2 | 10 | 13:23 | 14 |
| ერკულესი | 16 | 3 | 2 | 11 | 14:29 | 11 |
| ესტრემადურა | 16 | 1 | 4 | 11 | 9:31 | 7 |

## შოტლანდია

მე-16 ტურის მატჩი. დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 15 | 11 | 2 | 2 | 35:13 | 35 |
| სელტიკი | 14 | 8 | 3 | 3 | 32:15 | 27 |
| აბერდინი | 15 | 7 | 4 | 4 | 28:19 | 25 |
| ჰართსი | 15 | 5 | 6 | 4 | 18:19 | 21 |
| დანდი იუნ. | 16 | 5 | 5 | 6 | 18:17 | 20 |
| ჰიბერნიანი | 15 | 5 | 3 | 7 | 16:25 | 18 |
| მოზერველი | 15 | 4 | 5 | 6 | 17:23 | 17 |
| დანფერმლაინი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:27 | 17 |
| რეით როვერსი | 15 | 3 | 3 | 9 | 14:27 | 12 |
| კილმარნოკი | 14 | 3 | 2 | 9 | 17:29 | 11 |

## საბერძნეთი

მე-10 ტური. იონიკოსი — ოლიმპიაკოსი 0:1; ვეროია — პანილიაკოსი 2:0; ირაკლისი — კალამატა 2:5; პანათინაიკოსი — პაოკი 5:0; ოფი — აპოლონი 3:0; კასტორია — ათინაიკოსი 1:0; არისი — აეკ 3:2; კავალა — პანახაიკი 1:0; ქსანტი — ედესაიკოსი 0:1

მე-11 ტური. ათინაიკოსი — ოფი 0:0; ედესაიკოსი — კავალა 0:0; ოლიმპიაკოსი — პანათინაიკოსი 1:0; აეკ — იონიკოსი 2:1; პანახაიკი — კასტორია 3:0; პაოკი — ვეროია 0:0; ქსანტი — არისი 3:2; აპოლონი — ირაკლისი 4:1; პანილიაკოსი — კალამატა 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 11 | 9 | 2 | 0 | 22:4 | 29 |
| აეკ | 11 | 7 | 2 | 2 | 28:10 | 23 |
| პანათინაიკოსი | 11 | 7 | 2 | 2 | 23:6 | 23 |
| ოფი | 11 | 7 | 2 | 2 | 16:7 | 23 |
| პანილიაკოსი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:14 | 20 |
| პანახაიკი | 11 | 5 | 4 | 2 | 13:9 | 19 |
| ვეროია | 11 | 4 | 4 | 3 | 12:7 | 16 |
| კავალა | 11 | 4 | 4 | 3 | 9:6 | 16 |
| კალამატა | 11 | 4 | 4 | 3 | 12:16 | 16 |
| პაოკი | 11 | 3 | 5 | 3 | 7:11 | 14 |
| ქსანტი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:14 | 13 |
| იონიკოსი | 11 | 3 | 3 | 5 | 9:10 | 12 |
| აპოლონი | 11 | 3 | 1 | 7 | 11:18 | 10 |
| არისი | 11 | 2 | 4 | 5 | 10:18 | 10 |
| ედესაიკოსი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:16 | 9 |
| ათინაიკოსი | 11 | 2 | 2 | 7 | 7:22 | 8 |
| კასტორია | 11 | 1 | 2 | 8 | 6:20 | 5 |
| ირაკლისი | 11 | 1 | 2 | 8 | 7:24 | 5 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

მე-17 ტურის ბოლო მატჩი. იერდინგენი — ჰერტა 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაისერსლაუტერნი | 17 | 9 | 6 | 2 | 32:11 | 33 |
| მაინცი | 17 | 7 | 7 | 3 | 29:20 | 28 |
| ჰერტა | 17 | 8 | 4 | 5 | 27:18 | 28 |
| ვოლფსბურგი | 17 | 6 | 9 | 2 | 20:11 | 27 |
| მეპენი | 17 | 6 | 8 | 3 | 22:19 | 26 |
| ფორტუნა | 17 | 6 | 6 | 5 | 30:22 | 24 |
| კიკერსი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:18 | 24 |
| უნტერჰახინგი | 17 | 4 | 12 | 1 | 14:12 | 24 |
| ლაიპციგი | 17 | 6 | 6 | 5 | 28:27 | 24 |
| კარლ ცაისი | 17 | 5 | 8 | 4 | 22:21 | 23 |
| გიუტერსლო | 17 | 6 | 4 | 7 | 18:23 | 22 |
| იერდინგენი | 17 | 6 | 3 | 8 | 25:23 | 21 |
| მანჰაიმი | 16 | 5 | 5 | 6 | 25:28 | 20 |
| ცვიკაუ | 17 | 5 | 4 | 8 | 18:22 | 19 |
| აინტრახტი | 17 | 5 | 4 | 8 | 23:28 | 19 |
| როტ ვაისი | 17 | 5 | 1 | 11 | 22:39 | 16 |
| ოლდენბურგი | 16 | 3 | 4 | 9 | 19:36 | 13 |
| ლიუბეკი | 17 | 2 | 7 | 8 | 12:29 | 13 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### შოტლანდია. XVII ტური.

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — მოზერველი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| რეით როვერსი — სელტიკი | 6,5 | 3,6 | 1,2 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| რეინჯერსი — დანფერმლაინი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ჰიბერნიანი — დანდი იუნაიტედი | 1,45 | 2,9 | 4,7 |
| კილმარნოკი — ჰართსი | 2,5 | 2,5 | 2,2 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — ნიუკასლი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| დერბი ქაუნთი — ევერტონი | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| ლიდსი — ტოტენჰემი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ლივერპული — ნოტინგემი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| უიმბლდონი — ბლექბერნი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| შეფილდ უენსდეი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2,2 | 2,5 | 2,5 |

15 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სანდერლენდი — ჩელსი | 2,7 | 2,7 | 2,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXIII ტური.

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ტრანმერი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ბირმინგემ სიტი — ვესტ ბრომვიჩი | 1,25 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ბოლტონი — იფსვიჩი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| მანჩესტერ სიტი — გრიმსბი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ქუინზ პარკი — საუთენდი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სტოკ სიტი — სვინდონი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ვულვერჰემპტონი — ოლდემი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ჩარლტონი — პორტ ვეილი | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| ბრედფორდი — რედინგი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ნორვიჩი — კრისტალ პალასი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ოქსფორდი — შეფილდ იუნაიტედი | 3,2 | 2,6 | 1,8 |
| პორტსმუთი — ჰადერსფილდი | 1,5 | 3,0 | 4,0 |

### საფრანგეთი. XXII ტური.

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — პარი სენ-ჟერმენი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| მონაკო — კანი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლილი — ბასტია | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ბორდო — რენი | 1,25 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| მარსელი — ოსერი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| სტრასბური — მეცი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| კაენი — ლე ავრი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ნანსი — ლიონი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| გინგამი — ნიცა | 1,25 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| მონპელიე — ლანსი | 1,8 | 2,8 | 3,0 |

### იტალია. სერია A. XIII ტური.

15 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — პიაჩენცა | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| კალიარი — ბოლონია | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ინტერი — სამპდორია | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| იუვენტუსი — ვერონა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| პერუჯა — ლაციო | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| რეჯანა — მილანი | 4,7 | 3,1 | 1,4 |
| 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| რომა — ნაპოლი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ვიჩენცა — პარმა | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| უდინეზე — ფიორენტინა | 1,8 | 2,6 | 3,2 |

### იტალია. სერია B. XIV ტური

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯენოა — ბრეშია | 1,7 | 2,7 | 3,4 |

15 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — ვენეცია | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| დი სანგრო — ლუკეზე | 3,3 | 2,8 | 1,7 |
| კიევო — ტორინო | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| პალერმო — რეჯინა | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| კოზენცა — პესკარა | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| კრემონეზე — ჩეზენა | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ემპოლი — ფოჯა | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| რავენა — პადოვა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| სალერნიტანა — ლეჩე | [illegible] | 2,7 | 1,8 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

14 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კვიპროსი — ბულგარეთი | 7,0 | 4,0 | 1,15 |
| 1:0 | 2,7 | 3,4 | 1,6 |
| ესპანეთი — იუგოსლავია | 1,8 | 2,6 | 3,2 |
| ბელგია — ჰოლანდია | 2,2 | 2,5 | 2,5 |
| მაკედონია — რუმინეთი | 6,0 | 3,1 | 1,3 |
| 1:0 | 2,0 | 3,4 | 1,8 |
| პორტუგალია — გერმანია | 2,2 | 2,5 | 2,5 |
| ჩრდ.ირლანდია — ალბანეთი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |

15 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისრაელი — ლუქსემბურგი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 3,7 |
| 0:2 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| უელსი — თურქეთი | 3,8 | 2,8 | 1,6 |
| არგენტინა — ჩილე | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ბოლივია — პარაგვაი | 2,0 | 2,6 | 2,8 |
| ურუგვაი — პერუ | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| ვენესუელა — კოლუმბია | 7,0 | 4,0 | 1,15 |
| 1:0 | 3,0 | 3,4 | 1,5 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა. თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე; ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

## CROCO-2

### ტირაჟი №03

1. ესპანეთი — იუგოსლავია
2. ბელგია — ჰოლანდია
3. პორტუგალია — გერმანია
4. ჩრდ. ირლანდია — ალბანეთი
5. უელსი — თურქეთი
6. არგენტინა — ჩილე
7. ბოლივია — პარაგვაი
8. ურუგვაი — პერუ

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT


## CROCO ქუთაისში

**საქართველოს დასავლეთ დედაქალაქში მუშაობს სპორტული ლატარია "CROCO"**

**ამიერიდან ქუთაისელები და ქუთაისის სტუმრებიც ისარგებლებენ:**

- *ყველაზე მაღალი კოეფიციენტებით*
- *ყველაზე მოქნილი და ხელსაყრელი წესებით*
- *ყველაზე ვრცელი და მრავალფეროვანი პროგრამით*
- *ყველაზე ოპერატიული და დეტალური ინფორმაციით*

**და, რა თქმა უნდა, მოგებული თანხის დაუყონებლივ მიღების სრული გარანტიით!**

მისამართი: ქუთაისი, პუშკინის ქუჩა №16
დასავლეთ საქართველოს ტელერადიოკორპორაცია „ივერიონის" შენობა

## კალათბურთი

# ტერი მილზი — კვირის მოთამაშე

„დეტროიტ პისტონზის" ფორვარდი ტერი მილზი აღიარეს ნბა-ს დეკემბრის პირველი კვირის (2-დან 8 დეკემბრამდე) საუკეთესო მოთამაშედ. მილზმა ამ კვირაში სამჯერ ითამაშა, სათადარიგოდ გამოსვლისას მატჩში საშუალოდ 21,3 ქულა, 4,7 მოხსნა და 3,7 პასი გააკეთა. მანვე გაიმეორა ნბა-ს რეკორდი: ზედიზედ 13 სამქულიანი ჩააგდო, ოღონდ სამ მატჩში.

კვირის მოთამაშის წოდების სხვა კანდიდატები იყვნენ: ვინ ბეიკერი (მილუოკი), ტერელ ბრენდონი (კლივლენდი), მეტ მელოუნი (ჰიუსტონი), რეჯი მილერი (ინდიანა), ტიმ ჰარდევეი (მაიამი), გლენ რობინსონი (მილუოკი), ჯეისონ ვილიამსი (ნიუ ჯერსი), დენი მენინგი (ფინიქსი), კენი ანდერსონი (პორტლენდი), ჯონ სტოქტონი (იუტა).

# როდმანი დააჯარიმეს

„ჩიკაგო ბულზის" დამთხვეულმა ფორვარდმა ორმატჩიან დისკვალიფიკაციას და 105-ათას დოლარიან ჯარიმას გამოკრა ხელი. ეს სასჯელი კალათბურთელს მისმავე კლუბმა გამოუტანა საშაბათს. დენისი გუშინდელ მატჩსაც გამოტოვებდა „მინესოტასთან" და ვერც ხვალ ითამაშებს „ნიუ ჯერსისთან".

ყველაფერი კი კვირას მოხდა ტორონტოში. „ჩიკაგო" — „ტორონტოს" მატჩში როდმანმა შეტევაში პერსონალური მიიღო. იგი გაბრაზდა და მსაჯ მაიკ მატისს ხელი მოუქნია. მეორე მსაჯმა ბილ სფუნერმა როდმანს ტექნიკური მისცა და მოედნიდან გააგდო. გაბრაზებულმა დენისმა მატჩისშემდგომ ტელეინტერვიუში სასტიკად გალანძღა მსაჯები და ნბა-ს ხელმძღვანელობა. მეტიც, რამდენჯერმე შეიგინა და უცენზურო სიტყვებიც იხმარა.

„ბულზის" ხელმძღვანელობა მომხდარს სასწრაფოდ გამოეხმაურა: კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯერი კრაუზემ გააკრიტიკა როდმანი და თქვა, ვერ შევეგუებით იმ ენას, რომლითაც დენისი ლაპარაკობს. როდმანმა მთელი კლუბი შეარცხვინა, რადგან მის საუბარს ბავშვებიც უსმენდნენ და, აბა, წესიერი რა უნდა გაეგონათ.

ნბა-ს ვიცე-პრეზიდენტმა როდ თორნმა თქვა, რადგან როდმანი კლუბმა თავად დააჯარიმა, ლიგის ხელმძღვანელობა დამატებით სანქციებს აღარ მიმართავსო. მანვე იმედი გამოთქვა, რომ დენისმა შეიგნო დანაშაულის სიმძიმე და აქედან სათანადო დასკვნებს გამოიტანსო. „ბულზის" მწვრთნელს ფილ ჯექსონს კომენტარი არ გაუკეთებია, რა უნდა ვთქვა, სიტუაცია თავად მეტყველებს საკუთარ თავზეო.

სანამ სასჯელს გამოიტანდნენ, როდმანმა ვარჯიშისას თანაგუნდელებს ბოდიში მოუხადა და დასძინა: „ბოდიშს ვუხდი იმ ხალხს, განსაკუთრებით კი ბავშვებს, რომლებიც იმ საღამოს მისმენდნენ. ბოდიშს ვუხდი მათაც, ვის მიმართაც გამოვთქვი სალანძღავი სიტყვები. მატჩის მერე აღელვებული ვიყავი და შევცდი."

ყველას ეგონა, როდმანმა მოინანიაო, მაგრამ ამის შემდეგ თქვა: „საწყენია, დევიდი (ნბა-ს კომისარი შტერნი იგულისხმება) არ უნდა ნიშნავდეს მსაჯებად იმ ხალხს, რომლებიც თავიანთ ძალაუფლებას აჭარბებენ. არ გამიგია, კაცს ტექნიკური ხელის მაღლა აწევისთვის მისცე. მაგათ არც ნერვები აქვთ და არც არაფერი. ისინი ჯაჭვით ჰყავთ დაბმული შტერნსა და თორნს. მე კი არ მინდა, მათი რიგითი ძაღლი ვიყო." როდმანის ეს გამონათქვამი წამსვე შეარბილა კრაუზემ, რომელმაც მსაჯებს გარჯა შეუქო და იმის შიშით, ემანდ, როდმანი კიდევ არ დააჯარიმონო, ნბა-ს ხელმძღვანელობასაც მოეფერა.

# რობინსონი დაბრუნდა, ჰილი — გააგდეს

საშაბათს „სან ანტონიო სფურზს" დიდი სიხარული ჰქონდა — გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული ლიდერი დევიდ რობინსონი, მაგრამ ამ ამბის გახმაურებისთანავე მეორე ცნობამაც გაიჟღერა: კლუბმა გაათავისუფლა მწვრთნელი ბობ ჰილი და მის ნაცვლად „სფურზის" გენერალური მენეჯერი გრეგ პოპოვიჩი დანიშნა.

„სფურზს" საშინელი სტარტი ჰქონდა — 3 მოგება და 15 წაგება. ამდენად, ჰილის გადაყენება ლოგიკური იყო. თუმცა თავად ჰილი გუნდის წარუმატებლობას ტრავმებს აბრალებს: „დევიდზე რომ აღარაფერი ვთქვა, ზურგის ტკივილის გამო ვერ თამაშობს ჩაკ პერსონი, ხოლო ჩარლი სმიტს მუხლი აწუხებს. ეს სერიოზული ტრავმებია, ამის გარდა მოთამაშეთა წყება მიკროტრავმებმა გატანჯა. ხალხი ვარჯიშიდან ვარჯიშამდე მიშავდებოდა."

„ფინიქსთან" მატჩის წინ რობინსონმა თქვა: „მთელი გუნდი შოკირებულია. ბობი ყველას გვიყვარს და მისი გადაყენებით განცვიფრებულნი ვართ. ვეთანხმები თუ არა ამ გადაწყვეტილებას? არა! მაგრამ ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ეს უკვე მომხდარი ამბავია. ახლა ახალი მწვრთნელის გარშემო უნდა გავერთიანდეთ და საქმე გამოვასწოროთ."

ახალი მწვრთნელის დანიშვნის იდეა კლუბის პრეზიდენტ ჯეკ დილერს ეკუთვნის. მან პოპოვიჩი არა დროებით, არამედ მუდმივ მწვრთნელად დანიშნა. ამასთანავე გენერალური მენეჯერის თანამდებობაზეც ამუშავებს. პოპოვიჩი 1988-92 წლებში იყო „სფურზის" მწვრთნელის თანაშემწე, ხოლო ორ წელიწადს „გოლდენ სტეიტში" აკეთებდა იგივეს. პოპოვიჩის სამწვრთნელო დებიუტი წარუმატებელი გამოდგა — „სფურზი" 76:93 დამარცხდა „ფინიქსთან", რობინსონმა კი მხოლოდ 9 ქულა და 9 მოხსნა გააკეთა.

უმუშევრად დარჩენილ ბობ ჰილს ნბაში აქამდე 257 მატჩი მოუგია და 212 — წაუგია. 1986 წლიდან იგი წვრთნიდა „ნიუ იორკს", „ინდიანას" და „სან ანტონიოს", ხოლო 1993-94 წლებში „ორლანდოს" მწვრთნელის თანაშემწე იყო. ამ სეზონში ჰილი მესამე განთავისუფლებული მწვრთნელია, „ფინიქსის" კოტონ ფიცსიმონსის და „დენვერის" ბერნი ბიკერსტაფის შემდეგ.

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

9 დეკემბერი

ხიუსტონ... ხიეტლ სუპერსონიქსი — ფილადელფია-76 118:94, შარლოტ ჰორნეთსი — ვანკუვერ გრიზლიზი 107:91

10 დეკემბერი

გოლდენ სტეიტ ვორიორზი — ტორონტო რეპტორზი 101:91, ატლანტა ჰოქსი — დენვერ ნაგითსი 89:88, მაიამი ჰითი — კლივლენდ კავალიერზი 76:74, ნიუ იორკ ნიქსი — ვაშინგტონ ბულიტსი 85:73, ჰიუსტონ როკიტსი — მინესოტა ტიმბერვულვზი 96:94, დეტროიტ პისტონზი — მილუოკი ბაქსი 93:85, ფინიქს სანზი — სან ანტონიო სფურზი 93:76, იუტა ჯაზი — ინდიანა პეისერზი 110:86, ორლანდო მეჯიქი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 99:93, დალას მავერიქსი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 100:95, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — საკრამენტო კინგზი 92:90

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 16 | 5 | 76,2 |
| ნიუ იორკი | 13 | 6 | 68,4 |
| ორლანდო | 9 | 8 | 52,9 |
| ვაშინგტონი | 7 | 11 | 38,9 |
| ფილადელფია | 7 | 12 | 36,8 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 11 | 26,7 |
| ბოსტონი | 4 | 14 | 22,2 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 17 | 3 | 85,0 |
| დეტროიტი | 16 | 3 | 84,2 |
| კლივლენდი | 12 | 7 | 63,2 |
| ატლანტა | 12 | 8 | 60,0 |
| მილუოკი | 10 | 9 | 52,6 |
| შარლოტი | 10 | 9 | 52,6 |
| ინდიანა | 8 | 10 | 44,4 |
| ტორონტო | 7 | 13 | 35,0 |

დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიუსტონი | 18 | 2 | 90,0 |
| იუტა | 17 | 2 | 89,5 |
| დალასი | 8 | 11 | 42,1 |
| მინესოტა | 7 | 13 | 35,0 |
| დენვერი | 5 | 16 | 23,8 |
| სან ანტონიო | 3 | 16 | 15,8 |
| ვანკუვერი | 3 | 18 | 14,3 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიეტლი | 16 | 6 | 72,7 |
| ლეიკერზი | 16 | 7 | 69,6 |
| პორტლენდი | 12 | 9 | 57,1 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 13 | 38,1 |
| კლიპერზი | 7 | 14 | 33,3 |
| საკრამენტო | 7 | 14 | 33,3 |
| ფინიქსი | 5 | 14 | 26,3 |



კლივლენდი — მაიამი: მაიამელთა უკანახაზელმა ვაშონ ლენარდმა (შუაში) ბოლო წამზე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო და ალონზო მურნინგისა (მარცხნივ) და ტიმ ჰარდევეისგან მილოცვებს იღებს

**სტატისტიკა 10 დეკემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ქულა** | | | | |
| მაიკლ ჯორდანი | ჩიკაგო | 20 | 621 | 31,1 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 18 | 472 | 26,2 |
| შაკილ ონილი | ლეიკერზი | 22 | 548 | 24,9 |
| ჰაკიმ ოლაჯუონი | ჰიუსტონი | 15 | 364 | 24,3 |
| ლატრელ სპრიუელი | გოლდენ სტეიტი | 20 | 482 | 24,1 |
| **მოხსნა** | | | | |
| ჯეისონ ვილიამსი | ნიუ ჯერსი | 15 | 241 | 16,1 |
| ჩარლზ ბარკლი | ჰიუსტონი | 18 | 285 | 15,8 |
| დენის როდმანი | | 20 | 304 | 15,2 |
| შაკილ ონილი | ლეიკერზი | 22 | 291 | 13,2 |
| შონ კემფი | სიეტლი | 22 | 263 | 12,0 |
| **პასი** | | | | |
| ჯონ სტოქტონი | იუტა | 18 | 198 | 11,0 |
| მარკ ჯექსონი | დენვერი | 19 | 204 | 10,7 |
| ჯეისონ კიდი | დალასი | 18 | 169 | 9,4 |
| ნიკ ვან ექსელი | ლეიკერზი | 22 | 185 | 8,4 |
| დეიმონ სტუდემეიერი | ტორონტო | 18 | 146 | 8,1 |
| **ჩაჭრა** | | | | |
| გრეგ ენტონი | ვანკუვერი | 18 | 47 | 2,61 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 22 | 57 | 2,59 |
| ედი ჯოუნზი | ლეიკერზი | 22 | 56 | 2,55 |
| მუკი ბლეილოკი | ატლანტა | 15 | 38 | 2,53 |
| ჯეისონ კიდი | დალასი | 18 | 40 | 2,22 |
| **დაფარება** | | | | |
| შონ ბრედლი | ნიუ ჯერსი | 15 | 63 | 4,20 |
| დიკემბე მუტომბო | ატლანტა | 18 | 62 | 3,44 |
| შაკილ ონილი | ლეიკერზი | 22 | 59 | 2,68 |
| ჯიმ მაკილვაინი | სიეტლი | 22 | 57 | 2,59 |
| კრის ვებერი | ვაშინგტონი | 17 | 44 | 2,59 |

## ძიუდო

# ევროპამ იაპონელები დააჩოქა

იაპონიის ძიუდოს ფედერაცია აქამდე გაუგონარ დათმობაზე წავიდა: ამიერიდან ის იაპონელი ძიუდოისტები, რომლებიც ევროპაში გამართულ ტურნირებში იასპარეზებენ, ლურჯი კიმონოებითაც იჭიდავებენ.

მოგეხსენებათ, ძიუდოს ოდითგანვე თეთრი კიმონოებით ჭიდაობენ. ამ ათიოდე წლის წინათ ევროპის ძიუდოს ფედერაციამ სიახლე შემოიტანა და თავის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებზე (ძირითადად ევროპის ჩემპიონატსა და თასზე) ერთ ძიუდოისტს თეთრით, მეორეს კი ლურჯი კიმონოთი აჭიდავებს. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია ამ წესს არად აგდებს და მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ სხვა ტურნირებზე ყველას თეთრი კიმონო აცვია.

მომავალი წლიდან ევროპელები თავიანთ წესს გაამკაცრებენ: პარიზის ტურნირიდან (7-9 თებერვალს გაიმართება) დაწყებული ყველა ტურნირზე, ძიუდოისტს ლურჯი კიმონოს ჩაცმაც მოუწევს. ამგვარ შეჯიბრებებში არაევროპელებიც მონაწილეობენ, მათ შორის იაპონელებიც. ამდენად, ისინი არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: ან ლურჯი კიმონო, ან — ევროპულ ტურნირებში ვერმონაწილეობა.

იაპონიის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა იუკიმიცო კანომ საშაბათს განაცხადა: „უძველესი ტრადიციის დარღვევა მოგვიწევს. ძიუდოისტს თეთრი კიმონო უნდა ეცვას, მაგრამ... თუკი ევროპელთა წესებს არ დავემორჩილებით, იაპონელი ძიუდოისტები საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდებიან. ტრადიცია — ტრადიციად, მაგრამ ლურჯი კიმონოს დაკანონებას ეკონომიკური მხარეც ახლავს — ახლა ძიუდოისტის შემოსვის ხარჯი ორმაგად იზრდება." იაპონელებმა თქვეს, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა ევროპელებმა „ლურჯი კიმონოს წესი" მსოფლიოს თავს არ მოხვიონ და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციაც არ დაიყოლიონ ძველი ტრადიციის მოშლაზე.

იაპონელებს რა უჭირთ, ისინი თეთრ კიმონოსაც იშოვიან და ლურჯსაც, ჩვენ, ქართველებმა ვიკითხოთ. თუკი აქამდე ლურჯ სამოსელს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე ვიცმევდით, ახლა უკვე ყველა ტურნირზე დაგვჭირდება. ჩვენში კი, მოგეხსენებათ, თეთრი კიმონოც ჭირს, ახლა ლურჯებიც საშოვნელია...

## სროლა

# დეპარტამენტში [illegible]

თვეც არ იქნება გასული, რაც სროლის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე ახალი პრეზიდენტი, სამთავრობო დაცვის უფროსი ვახტანგ ქუთათელაძე აირჩიეს. მართალია, ეს ძალზე მოკლე დროა საიმისოდ, რომ ფედერაციის საქმიანობას ახალი თავკაცის ხელი დასტყობოდა, მაგრამ მაინც დავინტერესდით, რა ვითარებაა ამჟამად მსროლელებთან.

„კარდინალური ძვრები უკეთესობისკენ ჯერჯერობით არ არის" — გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი ბოსტოღანაშვილმა — „მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პრობლემებიც მოგვარდება, ახალი წლიდან სპორტის დეპარტამენტის სარდაფში ტირის მშენებლობას შევუდგებით. ეს ადგილი პროექტში სწორედ ტირისთვის იყო გამიზნული. მოვაწყობთ 25 და 10 მეტრიან დარბაზებს. საჭირო თანხის ნაწილს სპორტის დეპარტამენტი გაიღებს. მცხეთაში ახალი სტენდის მშენებლობაც გვაქვს დაგეგმილი. ეს საქმე ადრეც გვქონდა დაწყებული, მაგრამ, როგორც გაირკვა, ჩვენს მიერ შეგულებული მშენებლობის ადგილი იუნესკოს მფარველობის ქვეშ ყოფილა და იქიდან წამოსვლა მოგვიხდა. სანაცვლოდ სტენდის სხვაგან მოწყობა შემოგვთავაზეს და რამდენიმე ვარიანტიც შეგვირჩიეს. ვარკეთილის ბაზა კი დავიბრუნეთ, მაგრამ იქ ისეა ყველაფერი გაპარტახებული, იქაურობის მოწესრიგებას დაახლოებით 15-20 ათასი ლარი დასჭირდება".

**— დამეთანხმებით, სიდნეიში ხეირიანად გამოსასვლელად ყველამ დღეიდანვე უნდა დაიწყოს სამზადისი...**

— ტყვიის მსროლელთაგან, მესტენდურეთაგან და მშვილდოსნებისგან ჩვენ უკვე შევარჩიეთ ოლიმპიადისათვის მზადების კანდიდატები და მათი ვინაობა სპორტის დეპარტამენტსარც ვამცნეთ. ესენი არიან: ტყვიის მსროლელები — ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე, ნინო ლაღაშვილი, ილო ჩაგანავა; მესტენდურები — თამაზ იმნაიშვილი, გივი შენგელია, დავით ქვათაძე; მშვილდოსნები — ხათუნა ფუტკარაძე, ასმათ დიასამიძე, სულიკო თოფურია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწორედ და მხოლოდ ესენი გაემგზავრებიან სიდნეიში. ჯერ ერთი, ამისთვის ლიცენზიის მოპოვებაა საჭირო, მეორეც, ჩვენი გუნდის კარი ღია იქნება ყველასთვის, ვისაც კარგი შედეგები ექნება. ოლიმპიადაზე უძლიერესნი უნდა წავიდნენ. პირადად მე მხოლოდ ნინო სალუქვაძეს ვთვლი სიდნეის ოლიმპიადის რეალურ მონაწილედ, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ ლიცენზიის მოპოვება მას არ გაუჭირდება.

**— ცხადია, უკვე გადახედავდით საგაისო საერთაშორისო კალენდარს. რამდენ ტურნირში გეგმავთ მონაწილეობის მიღებას?**

— იმ შეჯიბრებების სია, რომლებშიც ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობა გვსურდა, ერთხელ უკვე წარვუდგინეთ დეპარტამენტის ხელმძღვანელებს. მათ ამ სიის შემცირება მოგვთხოვეს სახსრების სიმცირის გამო. ახლა ხელთა მაქვს ახალი ნუსხა იმ ტურნირებისა, რომლებშიც ჩვენების მონაწილეობა აუცილებლად მესახება, რათა მათ სპორტული ფორმაც შეინარჩუნონ და ლიცენზირებებზეც იფიქრონ. სულ 42 ღონისძიებაა, ევროპის ჩემპიონატები, მსოფლიო თასის ეტაპები და A კატეგორიის ტურნირები. აქედან 16 ტყვიის სროლაზე, 15 — მშვილდოსნობაზე, 11 კი სასტენდო სროლაზე მოდის. ეს, ჩემი აზრით, მინიმუმია. ადრე, მაგალითად, ნინო სალუქვაძე წელიწადში არანაკლებ 20 შეჯიბრში ასპარეზობდა და სწორედ ამით იყო განპირობებული მისი ესოდენ კარგი სპორტული ფორმა და მაღალი შედეგები. ვარჯიში თბილისში პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა სპორტსმენებმა ქვეყნის გარეთ გაიარონ შეკრებები. მესტენდურებს კარგი ურთიერთობა აქვთ კვიპროსელ კოლეგებთან, თანაც იქ აქედან წასული მწვრთნელი თემურ მატოიანი მუშაობს. ასე რომ, თუ საქართველოში იმნაიშვილი ნადირობით ინარჩუნებს სპორტულ ფორმას, იქ სრულფასოვანი ვარჯიშის საშუალება ეძლევა.

განზრახული გვაქვს მშვილდოსნებს თურქეთის ქალაქ კასტამონაში მოვუწყოთ შეკრება, იმ ქალაქში, სადაც ნატო ნასარიძე და მისი მწვრთნელი ვლადიმერ ლეკვეიშვილი ბინადრობენ.

ერეკლე კიკილაშვილი

# ავტორბოლა

ფორმულა 1

## საგაისო განრიგი

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (ФИА) პარასკევს გამოაქვეყნა ფორმულა-1-ის საგასიო პირველობის განრიგი. მასში წლევანდელზე ერთით მეტი — 17 ეტაპია და სხვა ცვლილებებიც შეინიშნება.

სეზონი კვლავ ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით გაიხსნება, მაგრამ უწინდებურად იაპონიაში კი აღარ დასრულდება, არამედ ევროპაში. ასე უთხოვია „რენოს", რომელიც წლის ბოლოს თავს ანებებს ამ კლასს და ძრავებს აღარ მიაწვდის.

დამატებულია ავსტრიის გრან-პრი, რომელიც წინა ჯერზე 1987 წელს გაიმართა. მაშინ სტარტზეცა და მერეც არაერთი ავარია მოხდა, სტეფან იოჰანსონს კი ვარჯიშის დროს მანქანის დაჯახებით ირემი (!!!) მოუკლავს. ჰოდა, ФИА-ს მწყრალად შეუხედავს ავსტრიელთათვის და ტრასის გადაკეთება მოუთხოვია.

მას აქეთ ავსტრიელებს საფუძვლიანად განუახლებიათ ცელტვეგის ტრასა, ოდესლაც ერთი უსწრაფესთაგანი რომ ყოფილა, ალპურ პროვინცია შტირიაში რომ მდებარეობს და ტყეებითაა გარშემორტყმული, მაგრამ საწადელისთვის ახლაღა მიუღწევიათ.

გერმანია წელსაც ორ ეტაპს უმასპინძლებს. ამ ქვეყნის გრან-პრის გარდა იქ გათამაშდება ლუქსემბურგისაც. ამას შეუცვლია ევროპის დიდი პრიზი, რომელიც იქვე, ნიურბურგრინგზე ეწყობოდა.

სხვა ცვლილებებიდან აღსანიშნავია ის, რომ სან-მარინოს დიდი პრიზი შარშანდელთან შედარებით ორი კვირით ადრე მოეწყობა. კიდევ ის, რომ ორი ეტაპის გამართვა ცოტა სათუოა: ერთი, რომ ფრანგებმა 31 იანვრამდე უნდა მოაგვარონ რეკლამისა და ტელე-ტრანსლირების უფლებათა უხეიროდ გაყიდვით წარმოქმნილი წინააღმდეგობა, პორტუგალებმა კი იმავე ვადაში უნდა მოასწრონ ეშტორილის ტრასის მოწესრიგება.

ეს ბოლო მოთხოვნა ცოტა უცნაურია, რაკი ნოემბრის ბოლომდე სწორედ რომ იქ ცდიდა ახალ მანქანებს გუნდების უმეტესობა. თუ ეშტორილი ФИА-ს პირობებს

| | გრან-პრი | ადგილი |
|---|---|---|
| 9.03 | ავსტრალია | მელბურნი |
| 30.03 | ბრაზილია | სან-პაულუ |
| 13.04 | არგენტინა | ბუენოს-აირესი |
| 27.04 | სან-მარინო | იმოლა (იტალია) |
| 11.05 | მონაკო | მონტე-კარლო |
| 25.05 | ესპანეთი | ბარსელონა |
| 15.06 | კანადა | მონრეალი |
| 29.06 | საფრანგეთი | მანი-კური |
| 13.07 | ბრიტანეთი | სილვერსტოუნი |
| 27.07 | გერმანია | ჰოკენჰაიმი |
| 10.08 | უნგრეთი | ბუდაპეშტი |
| 24.08 | ბელგია | სპა-ფრანკოშონი |
| 7.09 | იტალია | მონცა |
| 21.09 | ავსტრია | ცელტვეგი |
| 28.09 | ლუქსემბერგი | ნიურბურგრინგი (გერმანია) |
| 12.10 | იაპონია | სუძუკა |
| 26.10 | პორტუგალია | ეშტორილი |

ვერ დააკმაყოფილებს, სეზონი ხერესში (ესპანეთი) დასრულდება.

## უქომაგეთ სთიუართებს, ეწვიეთ მალაიზიას!

სამშაბათს ლონდონში დიდი ამბით მოეწყო ახალი გუნდის — „სთიუართ-ფორდის" მანქანების წარდგენა. როგორც გუნდის მეპატრონეებმა — მამა-შვილმა ჯეკი და პოლ სთიუართებმა აღნიშნეს, მათი ქათქათა თეთრი ბოლიდების აგება 11 თვეში მოესწრო.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ბებერი ჯეკი წელს ჩემპიონობაზე, ბუნებრივია, არ ფიქრობს. მისი თქმით, კმაყოფილი იქნება, თუ პილოტები — 23 წლის დანიელი იან მაგნუსენი და 24 წლის ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო კვალიფიკაციის ათეულში შევლენ და ფინიშსაც მოწინავე ათეულში მიაღწევენ. თუ ბიჭები თუნდაც ერთ ქულას მოიხვეჭენ, გადასარევი იქნებაო — განუცხადებია გამოცდილ მრბოლს.

სთიაურთმა მართლაც მაგრად იჩალიჩა და ფორმულა-1-ის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში გუნდი პირველად დაასპონსორებინა არა ნავთობ-პროდუქტების ანაც თამბაქოს მეგა-კომპანიას, არამედ — მთელს სახელმწიფოს, თანაც უცხოეთისას — მალაიზიას!

ეგზომ უცნაური გადაწყვეტილება ახსნა ამ აზიური ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მაჰათჰირ მოჰამადმა. თურმე ნუ იტყვით, რაკი ფორმულა-1-ის წლიური ტელე-აუდიტორია 6,1 მილიარდია, მთელი გუნდის სპონსორობა ძლიერ არგებს ქვეყნის იმიჯს. არადა, მსოფლიოში ზოგ უვიცს მალაიზია მალავის ანალოგიით აფრიკაში ჰგონებია, სხვები კი თურმე ამბობენ, მალაიზია სინგაპურის მეზობლადააო, მაშინ როცა მოჰამადის აზრით სინგაპური ყოფილა მალაიზიის მეზობლად!

მანქანებს წინა და უკან მალაიზიის დროშა და „ეწვიეთ მალაიზიას!" დევიზი დაამშვენებთ. ამის საფასურად ქვეყანა სთიუართებს დიდ ფულს უხდის. ზუსტ თანხას, აბა, ვინ გაამხელს, გუნდის შეფს კი უბრძანებია, კონკურენტ-უნარიანი რომ ვიყვეთ, სეზონში დაახლოებით 20 მილიონი გირვანქა (32 მლნ US$) გვჭირდებაო.

მოჰამადი სხვა მიმართულებითაც მუშაობს. შვეიცარულ გუნდ „ზაუბერს" მალაიზიისავე ნავთობის კონცერნი „პეტრონასი" პატრონობს, პრემიერ-მინისტრს კი სექტემბერში მიუმართავს ფორმულა-1-ის კონსტრუქტორთა ასოციაციის პრეზიდენტ ბერნი ექლსთოუნისთვის და იგი კიდეც დაუყაბულებია, რათა ჩემპიონატის ერთი ეტაპი 1999 წელს უკვე სამალაიზიოდ დაიგეგმოს.

მის სამასპინძლოდ აზიელებს დედაქალაქ კუალა-ლუმპურის საერთაშოისო აეროპორტის მახლობლად უკვე გამოუყვიათ 400 ჰექტარი მიწა და ზედ 60 მილიონ დოლარად ღირებულ ტრასას აშენებენ.

**ვასილ გუჩმაზაშვილი**

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

# ხელბურთი



## იაპონიაში, თანაც უქართველებოდ!

ვერ დავიჩემებთ, ქართველი ხელბურთელები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიას მიაღწევდნენო, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ თავიდანვე რომ დაჩაგრა, ნაღდზე უნაღდესია.

ევროპაში ოთხგუნდა ჯგუფები რომ უნდა შექმნილიყო, ერთი გუნდი კენტად რჩებოდა. ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ ერთ ჯგუთში ოთხის ნაცვლად ხუთი ეთამაშებინათ, ევროპის ხელბურთის ზვიადმა მამებმა იმ ერთი ზედმეტის თავიდან მოსაშორებლად დაბალი ღობე იოლად იპოვეს: ორი უპატრონო — საქართველო და უკრაინა ერთმანეთს შეაჯიბრეს. ჩვენებმა წააგეს რიგიან მეტოქესთან და კვალიფიკაციის დაწყებამდე გავარდნენ, უკრაინა კი ბოლომდე ვერ გავიდა.

მსოფლიო ჩემპიონატი, წელიწადგამოშვებით რომ ეწყობა, გაისად გაიმართება დასავლეთი იაპონიის ქალაქ კუმამოტოში. ტურნირი 17 მაისს გაიხსნება, პლეი-ოფი 27 მაისს გაჩაღდება, ნახევარფინალები 31 მაისს გაიმართება, ფინალი კი — 1 ივნისს.

მსოფლიო ჩემპიონი საფრანგეთია, ვინაც შარშან, ისლანდიაში, ფინალი ხორვატიას მოუგო. წელს, ატლანტაში, ოლიმპიადაზე, ხორვატებმა ფრანგებს სამაგიერო გადაუხადეს, ფინალში კი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ შვედებს მოუგეს, რითაც რუსებს ზედიზედ მესამე ოლიმპიადის მოგება აღარ დაანებეს. სხვათა შორის, რუსეთი მსოფლიოს 1993 წლის ჩემპიონია.

კუმამოტოს ტურნირის წილისყრა პარასკევს გაიმართა. მას გაუძღვა საერთაშორისო ფედერაციის (IHF) შვეიცარელი პრეზიდენტი პეტერ მიულმატერი, პირველ ნომრებად განთესილები კი კი ოთხ ქვეჯგუფად გაფანტა იაპონიაში საფრანგეთის ელჩმა ჟან-ბერნარ უვრიომ.

ჩემპიონატი მეორედ იმართება ახალი ფორმულით. თავიდან ექვსგუნდა ჯგუფებად გაბნეული 24 ქვეყანა წრიული სისტემით იასპარეზებს, ოთხ-ოთხი მოწინავე კი მერე ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს შეჯიბრს.

„ა" ჯგუფი: იუგოსლავია, ალჟირი, საუდთა არაბეთი, იაპონია, ისლანდია, ლიტვასა და ზღვისრეთის ჩემპიონს შორის გამარჯვებული (ეს უკანასკნელი უთუოდ ავსტრალია იქნება, მატჩი კი თებერვლის მერე გაიმართება)

„ბ" ჯგუფი: საფრანგეთი, შვედეთი, ნორვეგია, სამხრეთი კორეა, იტალია, არგენტინა

„გ" ჯგუფი: ესპანეთი, ჩეხეთი, პორტუგალია, ტუნისი, ეგვიპტე, აშშ

„დ" ჯგუფი: რუსეთი, ხორვატია, უნგრეთი, კუბა, ჩინეთი, მაროკო

ჩემპიონატი საინტერესო უნდა გამოვიდეს, რაკი ჯგუფების მეხუთე და მეექვსე გუნდებიც კი ძლიერები არიან.

**თენგიზ არტამონოვი**

## ორჯერ დაეშვებიან

შაბათს დიდთოვლობამ ვისლერ-მაუნთინში (კანადა) დანიშნული სეზონის პირველი სწრაფდაშვება რომ ჩაშალა, მის მაგივრად მსოფლიო თასის მონაწილე სამთო-მოთხილამურე ვაჟები 20 დეკემბერს იასპარეზებენ ვალ-გარდენაში (იტალია), სადაც მეორე დღეს კიდევ ერთი, წინდაწინვე დანიშნული სწრაფდაშვება მოეწყობა. იქვე ჩაშლილი სუპერ-გიგანტის სანაცვლო სტარტი ჯერ არ დაუნიშნავთ.

# ჭოროლი

## შოფსაიდოდ!

[illegible] ინგლისის პატრონობიდან თავის დაღწევის ნახევარი საუკუნის შემდეგაც [illegible] [illegible] ჩენაი. აი, სწორედ ამ ჩენაიში შაბათს გაჩაღდა ვაჟ მე-ჭოროლ-ეთა (ბალახის ჰოკეისტთა!) XVIII ჩემპიონთა თასი, რომელშიც ტრადიციულად მონაწილეობს მსოფლიოს ექვსი უკეთესი გუნდი.

ოლიმპიადის შემდეგ ჭოროლში დიდი სიახლე დაინერგა — გაუქმდა თამაშგარე (!) ამან სპორტს დიდი ვერაფერი არგო, ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით. როგორც ბი-ბი-სისა და ESPN-ის მიმომხილველები ბრძანებენ, ბრძენი მწვრთნელები ერთმანეთს უმალავენ ახალ იდეებსა და კომბინაციებს, რათა მერე, ფინალში უეცრად გამოიყენონ.

პირველი ტური: **7. XII. გერმანია (ჩემპიონთა თასის მფლობელი) — ინდოეთი 1:1, ჰოლანდია (ოლიმპიური ჩემპიონი) — პაკისტანი (მსოფლიოს ჩემპიონი, შარშანწინდელი გამარჯვებული) 2:0, ესპანეთი (ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი) — ავსტრალია (ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი) 1:1**

მეორე ტური: **8. XII. ინდოეთი — ესპანეთი 3:0, პაკისტანი — ავსტრალია 4:2; 9. XII. ჰოლანდია — გერმანია 2:1**

მესამე ტური: **10. XII. ინდოეთი — ჰოლანდია 1:1, პაკისტანი — ესპანეთი 2:2, გერმანია — ავსტრალია 3:1**

მასპინძლებმა ატლანტაში უმაგალითოდ ცუდი — VIII ადგილი რომ დაიჭირეს, მათი მწვრთნელი სედრიკ დესუზა გადადგა.

ტურნირი ახალ სტადიონზე მიმდინარეობს. მას ხელოვნური განათება ჯერ არა აქვს, ამიტომ მოთამაშეები შუადღის სიცხემ რომ არ შეაწუხოს, მატჩები დილის ცხრის ნახევარზე იწყება. მათი ხილვა თბილისელ სპორტის მოყვარულებს „აიეტი თი-ვის" 33-ე არხ ESPN-ით საღამო ჟამს, კრიკეტის დამთავრების შემდეგ შეუძლიათ.

რამდენჯერმე გაწვიმდა და მოედანი დაიტბორა. გოლები რამდენსამე თამაშში ბოლო წუთებზეღა გავიდა. ასე გაათანაბრეს ფრე ესპანეთმა და ავსტრალიამ, ჰოლანდიამ კი გერმანიას მოუგო.

დიდი სკანდალი აღინუსხა ინდოეთი — ჰოლანდიის მატჩში. მე-20 წამზე (!!) მასპინძელმა მუჰამედ ზაიდმა მეტოქეს სახეში ჩასცხო ყვანჯი და ტვინი შეურყია, რის გამოც მოედნიდან გააძევეს და ნაკრებიდანაც განუსაზღვრელი ვადით დაითხოვეს. მერე საქმეში მაყურებელი ჩაერია და თამაში 10 წუთით შეაფერხა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| გერმანია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ინდოეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| პაკისტანი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |

მოგება, ფეხბურთის მიბაძვით, ამიერიდან ჭოროლშიც სამ ქულად ფასობს. წრიული ტურნირის შემდეგ პირველსა და მეორე ადგილებზე გასულნი ფინალს ითამაშებენ.

# აის-ჰოკეი

## ეროვნულ ლიგაში

## იაგრი თუ გრეცკი?

**9 .XII. ბოსტონი — ანაჰაიმი 2:5, ჩიკაგო — ტორონტო 1:3, რეინჯერზი — ფინიქსი 5:2.** უხეირო სტარტის შემდეგ გონს მოდის ანაჰაიმი. ბოსტონში სელიანეს (1+1; 17) და დრურის მიერ გატანილმა გოლებმა ანაჰაიმს გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანა. კლუბმა ბოლო 10 მატჩში 16 ქულა დააგროვა და პირველად დატოვა დივიზიონის ბოლო ადგილი. შეწყდა გუნდის ლიდერ კარიას 8-მატჩა 11 (5+6) ქულიანი სერია. მისი პარტნიორი რუჩინი (1+1; 6) სელიანეს გოლის გატანაში დაეხმარა.

ანაჰაიმზე უკეთ თამაშობს რეინჯერზი, ვისაც 23 ნოემბრის შემდეგ არ წაუგია და 7 მატჩიდან 6 მოიგო. ამჯერად ნიუ-იორკელებმა ფინიქსს მოუგეს. კვლავ ბრწყინავდა გრეცკი: მან 3 პასი გააკეთა და 40 (13+27) ქულით ბომბარდირთაგან საუკეთესოა. შვედმა სუნდსტრიომმა 2 შაიბა (11) შეაგდო. ბოლო 19 (!) მატჩში ორადორჯერ დატოვა მოედანი უქულოდ ლიჩმა, რომელიც მცველთა დავაში პირველია — 32 (8+24) ქულა.

ტორონტომ არ დაზოგა თავი და მიულერის მიერ უმრავლესობაში გატანილი 2 გოლის (8) წყალობით 9 (!) მარცხის შემდეგ პირველი მოგება იზეიმა სტუმრად. ჩიკაგოს ლიდერების — ამონტესა და ჟამნოვის (უიკენდის 3 პასს მან გოლიც მიუმატა) ჩინებული თამაში ვერ შველის, კლუბმა 6-დან 5 მატჩი წააგო.

**10. XII. აილენდერზი — ფინიქსი 8:2, ფილადელფია — ფლორიდა 5:4, ტორონტო — ნიუ-ჯერზი 2:5, დეტროიტი — ედმონტონი 0:0, კალგარი — ოტავა 5:5, ლოს-ანჯელესი — პიტსბურგი 3:5**

ფილადელფიაში „პანთერები" 1:4 აგებდნენ „მფრინავებთან" ორი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ბოლო პერიოდში იმდენი იკინკლავეს და იუხეშეს, რომ მელანბის (11) შაიბის შემდეგ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს. ფილადელფიამ მაინც მოიპოვა ორი ქულა და მეორე ადგილზე დამკვიდრდა. ფილადელფიელმა ლინდროსმა (1+1; 2) მე-200 პასი გააკეთა.

ნამდვილი ომი გააჩაღეს აუტსაიდერებმა კალგარიმ და ოტავამ: მათ უკანდასახევი გზა არ დარჩენიათ და შედეგიანი და შემტევი თამაში აჩვენეს. ოტავა ახლოს იყო მიზანთან, როდესაც სენტ-ლუისიდან გადმოსულმა ოლსონმა (1+1; 1) სენატორთა ლიდერების — იაშინისა (1+1, 11) და ალფრედსონის (1+2, 11) კომბინაცია დაასრულა, მაგრამ ბოლო წამებზე მასპინძლები მეორე შვედმა — ჰოგლუნდმა (7) იხსნა.

აილენდერზმა ძალების გადანაწილების შემდეგ ერთობ მოუმატა თამაშს. გუნდის ლიდერთან — პალფისთან (1+2, 18) შეამხანაგებულმა სმოლინსკიმ (1+1, 4) და ანდერსონმა ლომის წილი დაიდეს ფინიქსის განადგურებაში. შვედმა, ვისთვისაც ეს მეორე სეზონია ნჰლ-ში, 5 (2+3) ქულით პირადი რეკორდი დაიმყარა.



პიტსბურგმა მეტოქეს თავიდანვე არ დაუტოვა არანაირი შანსი. ლემიეს (1+1, 13) სამეულმა ამჯერად სამი შაიბა მოაწყო, ხოლო ნოემბრის გმირმა იაგრმა ბოლო 9 მატჩში 19 (!) შაიბა გაიტანა და მისი საშუალო შედეგიანობა მატჩში 1 გოლზე მეტი გახდა (29 გოლი 28 მატჩში). იაგრმა 40 (29+11) ქულით ბომბარდირთა დავაში გრეცკისაც გაუსწრო.

დეტროიტის მეკარე ოსგუდმა ზედიზედ მეორე „მშრალი" მატჩში (სულ 4 სეზონში) ჩაატარა და 135 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია. მაგრამ ის, რომ დეტროიტისა და ედმონტონის შეხვედრა 0:0 დამთავრდა, მისი ედმონტონელი კოლეგის — ჯოზეფის (მე-9 „მშრალი" კარიერაში) დამსახურებაა. მან 52 დარტყმა მოიგერია, აქედან 10 — შენაჰენისგან. ჯოზეფმა მეტადრე ბოლო პერიოდში ივარგა, როცა მასპინძლებმა მთელი ძალით შეუტიეს.

ბოლოს დავძენთ, რომ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე — კოივუ მძიმედ დაშავდა და სულ ცოტა 8 კვირით გამოეთიშა ჩემპიონატს. „რეინჯერმა" ფლეტლიმ მე-500 ქულა დააგროვა.

მცველები: ლიჩი (რეინ) 32 (8+24), ოზოლინში (კოლო) 27 (8+19), ჩელიოსი (ჩიკ) და ჰეჩერი (პიტს) 21 (4+17), ტვერდოვსკი (ფინ) 20 (7+13), ბ. მირონოვი (ედმ) 20 (4+16), ბერარდი (აილ) 19 (3+16), ბლეკი (ლოს-ანჯ) 18 (6+12), ლიდსტრიომი (დეტრ) და შვეპლა (ფლო) 18 (5+13), მალახოვი (მონრ) 18 (3+15), მაკინისი (სენტ-ლ) და დეჟარდენი (ფილ) 16 (5+11)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | 1995 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | | |
| ჰარტფორდ | 21 | 13 | 6 | 7 | 83-80 | 32 | +10 | 5 |
| ბუფალო | 28 | 13 | 2 | 13 | 82-83 | 28 | +3 | 3 |
| მონრეალი | 30 | 12 | 4 | 14 | 102-106 | 28 | --4 | 2 |
| პიტსბურგი | 28 | 12 | 3 | 13 | 96-100 | 27 | --14 | 1 |
| ბოსტონი | 27 | 10 | 5 | 12 | 77-90 | 25 | +1 | 4 |
| ოტავა | 27 | 8 | 7 | 12 | 72-84 | 23 | +8 | 6 |
| **ატლანტიკა** | | | | | | | | |
| ფლორიდა | 29 | 17 | 7 | 5 | 88-59 | 41 | --1 | 1 |
| ფილადელ | 30 | 16 | 2 | 12 | 86-72 | 34 | --6 | 3 |
| ნიუ-ჯერზი | 27 | 15 | 1 | 11 | 69-67 | 31 | +4 | 4 |
| რეინჯერზი | 31 | 13 | 5 | 13 | 106-88 | 31 | --10 | 2 |
| ვაშინგტონი | 28 | 13 | 1 | 14 | 72-73 | 27 | 0 | 5 |
| აილენდერ | 28 | 9 | 8 | 11 | 75-74 | 26 | +9 | 7 |
| ტამპა | 26 | 9 | 2 | 15 | 73-84 | 20 | --3 | 6 |
| **ცენტრი** | | | | | | | | |
| დეტროიტი | 29 | 15 | 5 | 9 | 81-53 | 35 | --7 | 1 |
| დალასი | 28 | 16 | 2 | 10 | 78-67 | 34 | +10 | 6 |
| სენტ-ლუის | 29 | 15 | 0 | 14 | 85-86 | 30 | 0 | 4 |
| ჩიკაგო | 30 | 12 | 3 | 15 | 75-76 | 27 | --4 | 3 |
| ტორონტო | 30 | 12 | 0 | 18 | 86-105 | 24 | --5 | 5 |
| ფინიქსი | 29 | 10 | 4 | 15 | 69-90 | 24 | --11 | 2 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | | |
| კოლორადო | 29 | 17 | 4 | 8 | 102-64 | 38 | 0 | 1 |
| ედმონტონი | 31 | 14 | 2 | 15 | 101-93 | 30 | +4 | 3 |
| ვანკუვერი | 27 | 14 | 1 | 12 | 86-86 | 29 | +6 | 5 |
| ლოს-ანჯელ | 29 | 12 | 3 | 14 | 79-90 | 27 | --3 | 2 |
| ანაჰაიმი | 30 | 10 | 5 | 15 | 89-94 | 25 | 0 | 4 |
| სან-ხოსე | 28 | 10 | 4 | 14 | 72-91 | 24 | +10 | 7 |
| კალგარი | 30 | 10 | 4 | 16 | 71-83 | 24 | +4 | 6 |

**სამველ ღარიბიანი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29